# სარაგბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 სექტემბერი 2008 №221 (3445) ფასი 50 თეთრი


# მეორე ქართული სერია იტალიურ სერიაში

## ლევან მჭედლიძე კახა კალაძეს ოფიციალურად შეუამხანაგდა





ლევანის დებიუტი: 12 წუთი და ფასი

# რა იქნებოდა, ცხოვრებაც რომ რაგბივით იყოს: რუსეთს ულაპარაკოდ და იოლად ვამარცხებდეთ...

გუშინ საქართველოს 19-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა რუსი თანატოლები 37:0 მიანგრია და ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის ფინალში გავიდა.

ნამატჩევს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ დავით ჩავლეიშვილს დავურეკეთ, რომელმაც ეს გვითხრა: „ყველამ ძალიან კარგად ითამაშა, შერკინებამაც და უკანა ხაზმაც, რუსები წუთით არ ამოასუნთქეს. მატჩამდე რუსები მაგრად კი ტრაბახობდნენ, მაგრამ ჩვენებმა 10 წუთში მოუკლეს თამაშის სურვილი. რუსებს შანსი არ ჰქონიათ. ნამატჩევს მათგან მოსალოცადაც არავინ მოსულა და პრესკონფერენციაც არ გამართულა. პრინციპში სათქმელიც არაფერი ჰქონდათ. ჩვენგან კი ვახტანგ კავთიძემ სამი ლელო გაიტანა.“

შეგახსენებთ, რომ პოლონეთში მიმდინარე 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ამავდროულად საგაისო 20-წლამდელთა მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა. ხოლო რუსეთამდე, მეოთხედფინალში, საქართველოს ნაკრებმა ჰოლანდიას 62:7 მოუგო.

რუსებთან მატჩის მიმდინარეობა ასეთი იყო: 3:0 გოდერძი ჯოგლიძე (ჯ), 6:0 ჯოგლიძე (ჯ), 11:0 ვახტანგ კავთიძე (ლ), 13;0 ჯოგლიძე (გ), 18:0 კავთიძე (ლ), 20:0 ჯოგლიძე (გ), 25:0 კავთიძე (ლ), 27:0 ჯოგლიძე (გ), 32:0 დავით ბარბაქაძე (ლ), 37:0 ბარბაქაძე (ლ).

ახლა ჩვენებს რუმინეთთან მოუწევთ ფინალში თამაში, აქ გამარჯვებული კი ევროპის და მსოფლიოს თასების ელიტარულ დივიზიონში თამაშის უფლებას მოიპოვებს. რუმინელებმა გუშინ პორტუგალიასთან ფრედ, 20:20 ითამაშეს, ფინალში კი მეტი ლელოს წყალობით გავიდნენ. ფინალი 27 სექტემბერს, ჩვენი დროით 17 საათზე გაიმართება.



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები პოლონეთში გამგზავრების წინ

# ჰექტორ რაულ კუპერი შრომისმოყვარე კაცია

## მარტო მწვრთნელი ვერაფერს უშველის



თვეზე მეტია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ახალი თავკაცი ჰყავს — არგენტინელი ჰექტორ რაულ კუპერი. ჩვენმა ნაკრებმა ახალი შესარჩევი ციკლი ორი მარცხით დაიწყო, მალე კი მორიგი მატჩები ელის — ფიფამ საქართველოს ნაკრებს შინ თამაშის უფლება მისცა და 11 ოქტომბერს კვიპროსს, 15 ოქტომბერს კი ბულგარეთს „ეროვნულზე“ უმასპინძლებს. კუპერზე, ეროვნულ ნაკრებსა და სხვა თემებზე გუშინ საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანს გიორგი ნემსაძეს გავესაუბრეთ...

— კარგა ხანია, თქვენთან არ გვისაუბრია. საქართველოს ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ჰექტორ რაულ კუპერი. საქართველოში მის ჩამოსვლაზე რას იტყვით?

— კუპერი დიდი სპეციალისტია და მის მოწვევას დადებითად ვაფასებ.

— ჩვენმა ნაკრებმა მის ხელში სამი მატჩი გამართა — რა დაგანახათ ამ შეხვედრებმა?

— პირველ რიგში, ის მინდა ვთქვა, რომ კუპერს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა გუნდის მოსამზადებლად. მან ამ მატჩებში მაქსიმუმი გააკეთა, რაც ამ დროში იყო შესაძლებელი. სამივე მატჩში ჩვენმა ნაკრებმა მეორე ნახევარში გაცილებით უკეთ ითამაშა, რაც უდავოდ მწვრთნელის დამსახურებაა. საქართველოს ნაკრებმა უფრო შემოქმედებითი ფეხბურთი აჩვენა, ვიდრე ამას აქამდე ახერხებდა.

— კუპერი ეროვნული ჩემპიონატის ნაკრების კანდიდატებს კვირაში ერთხელ ვარჯიშსაც უტარებს...

— ძალიან კარგია, რომ კუპერი საქართველოში ცხოვრობს და ეროვნულ ჩემპიონატს თვალყურს ადევნებს. ეს მის მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს. ეძებს ახალ ფეხბურთელებს, ერთჯერადი ვარჯიშებიც დაეხმარება ამაში. შრომისმოყვარე კაცია და ეტყობა, საქართველოში საქმის საკეთებლად ჩამოვიდა. ხომ გვახსოვს, როგორ იპოვა იოჰან ბოსკამპმა ზურაბ ხიზანიშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი?! მერე ისინი უცხოეთში წავიდნენ და ნაკრებმა კარგი ფეხბურთელები მიიღო.

— თქვენი აზრით, ამ შესარჩევ ციკლში კუპერს რა უნდა მოვთხოვოთ?

— რა თქმა უნდა, თუ კუპერს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას მოვთხოვთ, ეს ძალიან არაპროფესიონალური მიდგომა იქნება. ყველაფერს რეალურად უნდა შევხედოთ. გუნდს რა შესაძლებლობა და პოტენციალიც აქვს, ამის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიოთ წინ და შედეგზე მერე ვიფიქროთ.

— რა თქმა უნდა, ეროვნული ჩემპიონატის განვითარებაც არანაკლებ საჭიროა...

— ამის გარეშე წინსვლა გამორიცხულია. ჩვენს ჩემპიონატს უნდა მივხედოთ, ფეხბურთელები აქ უნდა დაფრთიანდნენ; სამუშაოა მწვრთნელთა განათლების მხრივ... ფეხბურთელებმა ელემენტარული რამეები კუპერისგან არ უნდა ისწავლონ. ასევე დიდი ყურადღებაა საჭირო, რათა ბავშვთა ფეხბურთი განვითარდეს. ქართული ფეხბურთი თუ სწორი გზით არ წავიდა, მარტო კუპერი ვერაფერს უშველის.

— ბავშვთა ფეხბურთს შეეხეთ და თქვენს სკოლაში, „საბურთალოში“, რა ხდება?

— რუსეთის ვერაგულმა ქმედებებმა სკოლის მუშაობა შეაფერხა, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი კარგადაა. ჩვენ ყოველდღიურად ვცდილობთ, წინ წავიწიოთ. მწვრთნელთა განათლებას დიდ ყურადღებას ვუთმობთ. მალე რამდენიმე მწვრთნელს გერმანიაში ვუშვებთ სტაჟირებაზე და ეს პროცესი გაგრძელდება. თუ მწვრთნელმა ცოდნა არ გაიღრმავა, ერთ დონეზე დარჩება და ველარ გაიზრდება. ბავშვთა ფეხბურთს განათლებული მწვრთნელები სჭირდება.

— ბოლოს თქვენს შვილზე, ვაჟაზეც გკითხავთ. ის „დინამო 2“-ში წარმატებით თამაშობს და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრიცაა. მის მატჩებს ალბათ რეგულარულად ესწრებით...

— რა თქმა უნდა. ჩვენ ყოველდღიურად ვსაუბრობთ — შეცდომებზე ვუთითებ. ახლა ის გარდატეხის ასაკშია და მეტი ყურადღება სჭირდება. მთავარია, შრომა არ უნდა დაიზაროს, მონდომებულ კაცს ღმერთი ყოველთვის ეხმარება.

**ნუკრი ლოლაძე**

განახლდა საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ოთხი საშინაო მატჩის აბონემენტების გაყიდვა.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო — ირლანდიის შესარჩევი მატჩი არ გაიმართა თბილისში და ეროვნული გუნდი შინ ოთხ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს, აბონემენტების ფასები შეიცვალა: 150-ლარიანი აბონემენტი დღეიდან ეღირება 120 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა, III იარუსი, მე-9 სექტორი), 50-ლარიანი — 40 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი — 20 ლარი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

20 და 40-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაეცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფი, ხოლო 120-ლარიანი აბონემენტის მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით, 50 ლარად შეუძლიათ შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

სამივე სახის აბონემენტების მფლობელები უფასოდ დაესწრებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო ამხანაგურ მატჩებს.

იმ პირებს, რომლებმაც აბონემენტები ადრინდელ ფასში შეიძინეს, თანხის დაბრუნების მიზნით შეუძლიათ დაუკავშირდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. საკონტაქტო პირი — რევაზ შენგელია (ტელ: 91-26-60).



მათე ლვინიანიძე

# ალექსანდრე იაშვილს გოლი დაუთასდა

**ქართველი** ლეგიონერების ამბავ-ხაბარს გერმანიიდან დავიწყებთ, სადაც თასის მეთექვსმეტედფინალი გაიმართა.

„კარლსრუემ“ სტუმრად 2:0 მოუგო „ოფენბახს“ და პირველი გოლი ალექსანდრე იაშვილმა შეაგდო. ქართველმა ფეხბურთელმა 90 წუთი ითამაშა.

„მიუნხენ 1860“-მა „დუისბურგს“ პენალტებით 5:4 სძლია (ძირითადი და დამატებითი დრო 0:0), მათე ლვინიანიძემ 120 წუთი გაატარა მინდორზე, მატჩისშემდგომი პენალტი კი არ დაურტყამს.

„შალკემ“ ლევან კობიაშვილის გარეშე 2:0 აჯობა „ჰანოვერს“: „კობი“ სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ასევე სამარქაფოდ დარჩა ოთარ ხიზანეიშვილი, „აუგსბურგმა“ კი „ლევერკუზენთან“ 0:2 დათმო.

ჩეხეთის თასის მეოთხედფინალშია დიმიტრი ტატანაშვილი, ჩვენიანის გუნდმა 2:0 მოუგო „ფულნეკს“, „ტატანა“ ძირითადში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს, მას გოლებში მონაწილეობა არ მიუღია.

რუსეთის თასის მერვედფინალში მოსკოვის „ლოკომოტივმა“ 1:0 მოუგო პოდოლსკის „ვიტიაზს“. დავით მუჯირმა სრულად ითამაშა.

ყაზანის „რუბინმა“ კი უქართველებოდ პენალტებში (4:1) აჯობა პერმის „ამკარს“. ძირითადი და დამატებითი დრო 0:0 დასრულდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ალადაშვილის საგოლე პასი

**უკრაინის** პირველ ლიგაში კიევის „დინამო 2“-მა საკუთარ მოედანზე სიმფეროპოლის „იგროსერვისს“ 3:1 სძლია.



კახა ალადაშვილი

ძირითად შემადგენლობაში მყოფი კახა ალადაშვილი, ვინც საგოლე პასით გამოირჩა 83-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო ოთარ მარცვალაძე 58-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

არ უთამაშია კიეველთა კიდევ ერთ ქართველს, დავით იმედაშვილს.

**კახა ზალამბერიძე**




სარბიელელები
ვულოცავთ „ამერის“
მეკარეს ლადო
ნადირაშვილს და მარი
ხვადაგიანს
ვაჟის
შეძენას!
სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს!



როდესაც მალხაზ ასათიანი ფორმაშია, საქართველოს ნაკრები სულ სხვაგვარად თამაშობს, უფრო ნაკლები შიში-შფოთია დაცვაში, შეტევებშიც უფრო თამამად მიდის გუნდი. ახლა „ასათა“ ვერ არის ფორმაში და ამას არც უარყოფს — ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მალხაზს ეროვნულ ნაკრებში სათადარიგოთა სკამიდან მოუხდებოდა ჩართვა, ასე მოხდა ირლანდიასთან მატჩში. იმედია, კიევის „დინამოში“ გადასვლა სასიკეთოდ წაადგება 27 წლის ასათიანს. უკრაინულმა „სპორტ-ექსპრესმა“ ჩვენიანს ინტერვიუ ჩამოართვა...

# მალხაზ ასათიანი: კიევში საქართველოს ნაკრებში დასამკვიდრებლად ჩამოვედი

— როგორ შეაფასებთ საკუთარ მზადყოფნას ამ დროისთვის?

— იდეალურს ნამდვილად ვერ დავარქმევ. დასამალი არ არის, ბოლო დროს სათამაშო პრაქტიკა არ მყოფნიდა.

— და მაინც, ელოდით, რომ კიევის „დინამოში“ პირველ ოფიციალურ ევრომატჩს ასე მალე ითამაშებდით? თანაც, ლონდონის „არსენალთან“...

— ასეთ რამეებს მე ვერ გავთვლი. შემადგენლობას მწვრთნელი ადგენს და მან გადაწყვიტა, რომ სასარგებლო ვიქნებოდი ამ თამაშში.

— ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფის ფავორიტად „არსენალი“ ითვლებოდა. თვლით, რომ სტერეოტიპი დაიმსხვრა?

— არა, ფავორიტი ისევ „არსენალია“, თუმც არც კიევის „დინამო“, „პორტუ“ და „ფენერბაჩე“ არიან ჩამოსაწერნი. რა თქმა უნდა, ძნელი მატჩები გვექნება.

— თქვენ ერთხელ უკვე იყავით კიევის „დინამოში“ — გასინჯვაზე...

— ეს იყო შვიდი წლის წინ. მაშინ გუნდს ვალერი ლობანოვსკი წვრთნიდა. რატომ არ დავრჩი? პატარა ვიყავი, დუბლებში ვვარჯიშობდი და თანაც, დარჩენა-არდარჩენა მხოლოდ ჩემზე არ იყო დამოკიდებული.

— იური სიომინმა რომ კიევში მიგიწვიათ, გაგიკვირდათ?

— სასიამოვნო სიურპრიზი იყო. მიხარია, რომ მას ასათიანი-ფეხბურთელი არ დავიწყებია და ისევ სჯერა ჩემი. სიომინმა ბევრი მასწავლა, სწორედ მის ხელში ავთამაშდი სერიოზულ დონეზე, საქმისადმი პროფესიონალურ მიდგომას მივეჩვიე. ახლა კი ჩემზეა ყველაფერი დამოკიდებული — შანსი მომეცა და უნდა გამოვიყენო.

— კიევის „დინამოში“, როგორც „გემიდან ბალზე“, ისე მოხვდით. თქვენი თანაგუნდელები კარგა ხანია, ერთად ვარჯიშობენ და ამ დროს გუნდში ჩართვა არცთუ ადვილია...

— მაგრამ მე ყველანაირად ვეცდები, დაკარგული დრო ავინაზღაურო.

— მოსკოვის „ლოკომოტივის“ თამაშებს ადევნებთ თვალს?

— რა თქმა უნდა. ახლა „ლოკომოტივი“ რუსულ პრემიერლიგაში მეშვიდე ადგილზეა, თუმც უიმედო მდგომარეობა ნამდვილად არ არის. „ლოკო“ ჩემპიონი ველარ გახდება, მაგრამ სამეულში შესვლა კი შეუძლია.

— რომელიმე ყოფილ თანაგუნდელთან კონტაქტი თუ გაქვთ?

— დავით მუჯირი ხომ ჩემი თანამემამულეა. ჩვენ ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს.

— „ლოკომოტივის“ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვთან რატომ ვერააწყვეთ ურთიერთობა?

— თავიდან რატომაც არა, კარგი ურთიერთობა გვქონდა. ნორმალური ადამიანური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ეგაა, საწყენია, რომ მას ჩემი, როგორც ფეხბურთელის, არ სჯეროდა. მე მშვიდად ვუყურებდი ყოველივე ამას, რადგან რახიმოვი მწვრთნელია, მე — ფეხბურთელი, რახიმოვს აქვს უფლება არ მათამაშოს, მე კი ვალდებული ვარ, მას დავუჯერო. კამათს და რაღაცების მტკიცებას აზრი არ ჰქონდა. ფაქტი ფაქტად დარჩა — რახიმოვი გუნდის ძირითადში ჩემს ადგილს ვერ ხედავდა, მე კი აზრი ვერ შევაცვლევინე.

— როგორ ფიქრობთ, კიევში დიდი ხნით ჩამოხვედით?

— ყავაზე მკითხაობას ვერ დავიწყებ. საიჯარო ხელშეკრულება წლის ბოლომდეა, მერე კი, ვნახოთ, რა იქნება.

— რუსეთში უნივერსალური ფეხბურთელი იყავით, დაცვაშიც თამაშობდით და ნახევარდაცვაშიც. კიევში რა პოზიციაზე გხედავთ იური სიომინი?

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს სიომინმა უკვე სამუდამოდ ჩამსვა ძირითადში. ახლა მთავარია, ვარჯიშებზე კარგად გამოვიყურებოდე. თეორიულად ნებისმიერ პოზიციაზე სათამაშოდ მზად ვარ, სიომინს ჩემი სჯერა და ვნახოთ... მერწმუნეთ, ყველა მწვრთნელი არ გარისკავდა პრაქტიკას მოკლებული ფეხბურთელის აყვანას.

— მინდორს მიღმა სიომინთან ხშირი ურთიერთობა გაქვთ?

— არც ხშირი და არც იშვიათი. ახლა მუშაობაა საჭირო, ამიტომ ურთიერთობა წმინდა პროფესიულია, ხოლო გულის გახსნა და მეგობრული საუბარი გვიანი არასოდეს არის.

— როგორ შეგხვდნენ კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები?

— კარგად, რაც ძალიან გამიხარდა. ჯერ არცთუ დიდი ხნის მოსული ვარ, რომ ვინმესთან დამეგობრება მომესწრო. ნელ-ნელა ყველა ფეხბურთელთან ვამყარებ ურთიერთობას. მთლიანობაში სასიამოვნო კოლექტივია — არიან მხიარული ბიჭები, რომლებსაც იუმორის კარგი გრძნობა აქვთ.

— ისე, თქვენ ერთი მეგაპოლისიდან მეორეში გადმოხვედით...

— ასეა. მოსკოვს მიჩვეული ვიყავი, თუმცა კიევიც კარგად ვიცი. აქ ადრე ვყოფილვარ და ქალაქი ძალიან მომეწონა, თუმც გიდის გარეშე ჯერ მაინც ძნელია სიარული. ქუჩებიდან მხოლოდ ხრეშჩატიკი ვიცი.

— რუსეთის ჩემპიონატი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პროგრესირებადია. ამიტომ, კიევის „დინამოში“ გადმოსვლას უკან გადადგმულ ნაბიჯად ხომ არ მიიჩნევთ?

— სრულფასოვნად გადმოსვლაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი, რადგან განათხოვრებული ვარ. გეთანხმებით, რუსეთის პრემიერლიგა სწრაფად პროგრესირებს. ეს ცსკა-მ და „ზენიტმაც“ დაამტკიცეს უეფას თასის მოპოვებით, თუმცა ვიცი, რომ ბოლო დროს უკრაინაშიც პროგრესი აქვთ კლუბებს.

— კიევის „დინამოს“ ფანები გაიცანით?

— ბრწყინვალე პუბლიკაა, ისევე, როგორც ყველგან, სადაც მითამაშია. გულშემატკივრებთან განსაკუთრებული პრობლემები არასოდეს შემქმნია.

— დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრების ძირითადში დაბრუნებას ისახავთ მიზნად...

— ამისთვის კლუბში მუდმივი სათამაშო პრაქტიკაა საჭირო. ამის გარეშე კი ნაკრები უნდა დავივიწყო. აი, ამიტომაც შევიცვალე კლუბი — კიევში თამაშის შანსი გაცილებით მეტი მაქვს, ვიდრე მოსკოვის „ლოკომოტივში“. ვიმეორებ, რაშიდ რახიმოვს ვერ დავადანაშაულებ, მაგრამ მან თავის გამოჩენის საშუალება არ მომცა, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა კი, აბა, რა სასიამოვნოა?!

# ჩეხებმა მოგვიგეს და ჩეხები თუ გვიშველიან...

## საქართველომ წინ ყოფნა ვერ შეინო

**ნეტავ,** ისეც მოხდეს ხოლმე, რომ საქართველოს ნაკრები აგებდეს და თამაში შემოატრიალოს. კი მომხდარა, მაგრამ ალბათ ასიდან ერთ შემთხვევაში.

უნგრეთში მიმდინარე ევრო-2009-ის შესარჩევი ციკლის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს სენი არ შორდება — თამაშის მიმდინარეობისას იგებს (თან ორჯერ), მაგრამ ბოლოს მაინც არაფერი რჩება ხელში.

უნგრელ თანატოლებთან გელა შეყილაძის გუნდი ორჯერ დაწინაურდა და საბოლოოდ 2:2, გუშინ კი, მეორე ტურში, ჩვენებმა ჩეხეთთანაც ამგვარი დაატრიალეს, ოღონდ ბოლოს გადამწყვეტი გოლი გაუშვეს და 2:3 წააგეს.

ქართველ 17-წლამდელთაგან გოლებით ირაკლი შეყილაძემ და გიორგი ჭანტურიამ გამოიჩინეს თავი.

უნგრეთმა კი მეორე ტურის პარალელურ მატჩში ბოსნიას ასევე ბოლო წუთებზე გაუტანა და 1:0 აჯობა.

რა შანსიღა დაგვრჩა? ბოლო ტურში საქართველომ უნდა მოუგოს ბოსნიელებს და ჩეხებმა სძლიონ უნგრელებს.

ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ითამაშებენ კი მთელი ძალით ჩეხები, როცა ჯგუფიდან გასვლა უკვე გაინაღდეს?

ასეთ შანსებს თეორიული ეთქმის, მაგრამ მეორე მხრიდან რომ შეხედო, არარეალური ჩანს...

**ილია ნანობაშვილი**

ბოსნია 0:1 უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| საქართველო | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

# სკონტო ბალტიურ ფინალში

**ვლადიმერ დვალიშვილის** და დავით გამეზარდაშვილის რიგის „სკონტომ“ ბალტიის ლიგის ნახევარფინალში თანაქალაქელი „რიგა“ 5:0 გაანადგურა და ფინალში გავიდა.

დვალიშვილი 66-ე წუთზე შეცვალეს, გამეზარდაშვილი კი სათადარიგო იყო.

ფინალში რიგელები ლიტვურ „კაუნასსა“ და ლატვიურ „ვენტსპილსს“ შორის გამარჯვებულს შეხვდებიან.

**ბახა შალამბერიძე**

# სტეფანიშვილი გამოჯანმრთელდა



www.fczestafoni.ge

**საქართველოს** ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ზესტაფონმა“ რამდენიმე დღის წინ მნიშვნელოვანი სამი ქულა აიღო ბოლნისში „სიონთან“ (1:0).

იმერლები მომავალ ტურში შინ ახალციხის „მესხეთს“ შეხვდებიან — მე-20 ეროვნულ ჩემპიონატში ეს პირველი საშინაო მატჩი იქნება „ზესტაფონისთვის“.

და აი, ახალი ამბავიც: თვენახევრიანი პაუზის შემდეგ გუნდთან ერთად განაახლა ვარჯიში ნახევარმცველმა ნიკა სტეფანიშვილმა, რომელმაც უნგრულ „დიორ ეტოსთან“ საუეფასთასო მატჩის წინ მიიღო მუხლის ტრავმა და აქამდე მკურნალობდა.

**ნუგზრი ლოლაძე**

# ბაქიმ ბაქი დასაჯა

## დემეტრაძე და მისი თანაგუნდელები 0:3-ს ფულით გადაიხდიან

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის მე-5 ტურში ევლახის „ქარვანთან“ შინ 0:3 მარცხის შემდეგ „ბაქის“ ხელმძღვანელობამ თავისი ფეხბურთელები დააჯარიმა.

„გუნდი, უბრალოდ, არ თამაშობდა, ფეხბურთელები საკუთარ თავს არ ჰგავდნენ. შესაძლოა, მათ უკვე ჩათვალეს რომ ჩემპიონები არიან და ამიტომ ყველა დავაჯარიმეთ“ — ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ „ბაქიში“ ორი ქართველი ირიცხება — გიორგი დემეტრაძე და ამირან მუჯირი.

„ქარვანთან“ მხოლოდ დემეტრაძემ ითამაშა, რომელიც მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა, მუჯირი კი სათადარიგო იყო.

**ბახა შალამბერიძე**




# დავით სირაძე ოქტომბერში 6 ქულას ხედავს

სადაც უთამაშია, დავით სირაძე არსად ყოფილა გამორჩეული მეგოლე, მაგრამ ის ძალიან სასარგებლო თავდამსხმელია, აკი შარშან ღონიერი მატჩები ჩაატარა საქართველოს ნაკრებში და დღესდღეობით ექტორ რაულ კუპერის გუნდშიც ერთ-ერთ მთავარ ფორვარდად ითვლება. სირაძემ რუსეთის პრემიერლიგის წინა ტურში „მოსკვას" სტუმრად გოლიც გაუტანა, საგოლე პასიც მიითვალა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა, მისმა „ნალჩიკმა" კი ცხრილში ორი საფეხურით აიწია და მეცხრეზეა...

— კარგი გოლი გამოვიდა, თავით გავიტანე. რაც მთავარია, სამი ქულა ავიღეთ. ნალჩიკის „სპარტაკი" სუპერგუნდი არაა, მაგრამ ვამტკიცებთ, რომ რუსეთში ნებისმიერთან შეგვიძლია მოგება — გვითხრა დავითმა, ვისაც რუსეთში დავუკავშირდით.

— ისე, წლეულს პრემიერლიგაში სულ სამი გოლი გაქვს გატანილი, რაც თავდამსხმელისთვის ცოტაა...

— თუ მომენტი ჩამივარდა, გოლს ვაგდებ. ბევრი საგოლე შანსი ნამდვილად არ მექმნება.

— წლეულს რა მიზნები აქვს შენს გუნდს?

— სანამ სეზონი დაიწყებოდა, უეფას თასზე გასვლაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ ახლა უკვე ძნელია. ათეულში შესვლა ნორმალური შედეგი იქნება.

— ვიცით, რომ ნალჩიკის „სპარტაკი" პრემიერლიგაში ყველაზე ღარიბი კლუბია ფინანსურად, თუმც აუტსაიდერებში არასოდეს ყოფილხართ. რაშია ასე თუ ისე წარმატებული თამაშის საიდუმლო?

— გუნდურად ვთამაშობთ. კარგი მწვრთნელი გვყავს და არც ფეხბურთელები ვართ ცუდები. სხვა რა საიდუმლო უნდა იყოს, ვთამაშობთ, ვიბრძვით...

— რუსეთ-საქართველოს ომის გამო გუნდში ურთიერთობა ხომ არ გაგფუჭებიათ ქართველებს?

— არა, პირიქით, ყველა გვერდში გვიდგას. ეს პოლიტიკაა, ფეხბურთელებს რას უნდა ერჩოდნენ.

— ნალჩიკი გასაგებია, მაინც კავკასიაა და გასვლით მატჩებზე თუნდაც იგივე „მოსკვასთან" არ გიგრძვნიათ თქვენდამი ცუდი დამოკიდებულება?

— არა, ნამდვილად არავინ შეგვხებია.

— საქართველოს ნაკრებში ირლანდიასთან და იტალიასთანაც შეცვლაზე შეხვედი. რას იტყვი შენს თამაშზე?

— სამწუხაროდ, თამაში ვერ შემოვატრიალეთ ვერც გერმანიაში და ვერც იტალიაში. წაგებამ გული დაგვწყვიტა, მაგრამ ცუდად არ გვითამაშია. აი, ირლანდიასთან თბილისში რომ ყოფილიყო მატჩი...

— ნაკრების ბევრმა ფეხბურთელმა თქვა, ახლა უფრო ორგანიზებულად და ხარისხიანად ვთამაშობთ, ვიდრე წინა თვეებშიო. რას იტყვი, შეამჩნიე პლუსები?

— მეც ზუსტად მაგას ვიტყვი, რომ წაგების მიუხედავად, ნაკრები დაქსაქსული და ქაოსური აღარ ყოფილა, კარგად ვიყავით მომზადებულები ტაქტიკურად. კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებს დიდი იმედით ველოდები, თბილისში კარგად ვთამაშობთ-ხოლმე და რეალურადაც მგონია, რომ ექვს ქულას ავიღებთ.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა
## I წრე. 3 ტური

### დასავლეთი

**გურია 0:0 კოლხეთი**

**გურია:** აბრამიშვილი, რ. კუკულაძე, გ. იმნაძე, ცინცაძე, გოგიბერიძე, ი. კილაძე, ბეგოიძე, მ. კოტრიკაძე (მეწირული 71), ს. მოდებაძე, კვერენჩხილაძე, ს. ურუშაძე (სულაბერიძე 62)
*სათადარიგონი:* გოგუაძე, ქურიძე, ჯორბენაძე, დ. სიხარულიძე, ჯაყელი
მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი
**კოლხეთი:** გ. შენგელია, დ. ნარსია, ცხვიტარია, ლუსტა, ლემონჯავა, გვალია (გვიჩია 40), ჩხარტიშვილი, ქომეთიანი, გელაჭეიშვილი (ციკოლია 45), ბაკარანძე, წიქარიშვილი (ქანდავაძე 80)
*სათადარიგონი:* ჩემია, გეგელია, მეგრელიშვილი
მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი
გაფრთხილება: ციკოლია, გვიჩია
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი
500 მაყურებელი

**სამტრედია 1:0 ტორპედო 2008**
1:0 ბოხუა (28)
**სამტრედია:** ი. შენგელია, გოგია, კვესეიშვილი, სამსეიშვილი, ნინუა, ლ. მახარაძე, ჩომახიძე, გ. თურმანიძე (ბაკურაძე 46), ოქრუაშვილი, ადეიშვილი, ბოხუა (ეცადეიშვილი 62)
*სათადარიგონი:* სალდაძე, სუნიაევი, გ. დარჯანია, ა. ქუთათელაძე, დ. კეკელიძე
მწვრთნელი: მამუკა მესიაჩენკო
**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, ი. დარსაძე, ბიბილეიშვილი, ხარებავა, ჭანკვეტაძე, კოსტავა (შველიძე 19), დანელია (გ. გურეშიძე 62), ბესარაშვილი, ბ. ჩხეტიანი (ე. მუშკუდიანი 46), ტიელიძე, კობერიძე
*სათადარიგონი:* კუჭუხიძე, რატიანი, ქობალია
მწვრთნელი: კახა კარანაძე
გაფრთხილება: ჩომახიძე, ოქრუაშვილი
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი
300 მაყურებელი

**ხობი 0:0 მერანი (მ)**
**ხობი:** ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია (მ. შონია 70), ა. კვირკველია, ჯამბურია, ალანია, კ. გოგენია, ლეფსაია, ფირცხელავა (გრიგოლია 80), სართანია (ლატარია 64), გაგუა
*სათადარიგონი:* ჭურღულია, ჩაჩიბაია
მწვრთნელი: ლევან ნოდია
**მერანი (მ):** კოდალაევი, ფარცვანია, დ. ჩხიკვაძე, ი. ვაშაკიძე, ბიწაძე, პაპადოპულოსი, წოწორია, გოგოლაძე (დ. თოდუა 55), კირკიტაძე (ცაგარეიშვილი 75), ჩალაძე, ციცხვაია
*სათადარიგონი:* არდაშელია, გეგეჭკორი, ზ. ენდელაძე, ლ. ძაგანია
მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია
გაფრთხილება: ფიფია, ბიწაძე, ლატარია, ფარცვანია, ციცხვაია, ბიწაძე
გაძევება: ბიწაძე (87)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი
500 მაყურებელი

**ბაია 2:1 ბათუმი**
1:0 გ. პაჭკორია (20), 1:1 დემურაძე (60), 2:1 ჟვანია (81)
**ბაია:** ივარდავა, გ. პაჭკორია, ჟვანია, ქაშაკაშვილი, ბოკუჩავა, გუგუჩია, კუტალია (ქობალია 69), რაფავა, ვართაგავა, ქირია (ეხვაია 90), სვირავა
*სათადარიგონი:* მაქაცარია, ქანთარია, დ. პაჭკორია, კაკუშაძე
მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი
**ბათუმი:** თოთლაძე, რამიშვილი, გოგიტაური, ფარტენაძე, გოგუაძე, გ. გოგიტიძე, ბ. მახარაძე, გორჯელაძე (გალოგრე 80), დემურაძე (ზაქარეიშვილი 67), მალაზონია, ლ. კალანდაძე
*სათადარიგონი:* მჟავანაძე, მჭედლიძე, ქადიძე, ჩხიკვიშვილი, თ. კაკალაძე
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე
გაფრთხილება: გ. გოგიტიძე, მალაზონია, ზაქარეიშვილი, გ. გოგიტიძე
გაძევება: გ. გოგიტიძე (73)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი
500 მაყურებელი

**ჭიათურა 4:2 მეშახტე**
1:0 ბრეგვაძე (4), 2:0, 3:0 ხაჭიპერაძე (23, 48), 4:0 ცუცქირიძე (65), 4:1 გვენეტაძე (77), 4:2 ბრეგვაძე (90ს.კ.)
**ჭიათურა:** ზ. დარჯანია, გ. ბრეგვაძე, ბრუსლი, კეჟლიშვილი, ეგაძე (ცუცქირიძე 46), გ. ილურიძე (ნ. ტყემალაძე 73), ნგოკო, ვ. ტყემალაძე, სეფერთელაძე, სევასტოპულო, ზ. ხაჭიპერაძე (ვაშაძე 59)
*სათადარიგონი:* ჯაჯანიძე, გოგბერაშვილი, კ. ძაგანია, გაფრინდაშვილი
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე
**მეშახტე:** თორთლაძე, ყურაშვილი (წერეთელი 78), დონაძე, ი. გვეტაძე, ჯიშიაშვილი, მაჩალაძე, ლომთაძე, გოგუა, გობეჯიშვილი (რ. კალანდაძე 68), გ. გვენეტაძე, ავალიშვილი
*სათადარიგონი:* გიორგაძე, მ. ბოჭორიშვილი, ბ. გვეტაძე
მწვრთნელი: დავით გვენეტაძე
გაფრთხილება: ყურაშვილი, ვ. ტყემალაძე
მსაჯი: კ. ჭაჭუა
200 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ჭიათურა | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 6 |
| სამტრედია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ხობი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| მერანი (მ) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ბათუმი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ტორპედო 2008 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ზესტაფონი 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| მეშახტე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

**მეოთხე ტური**

28 სექტემბერი
მეშახტე – გურია
ბათუმი – სამტრედია
მერანი (მ) – ბაია
ტორპედო 2008 – ჭიათურა
ზესტაფონი 2 – ხობი

### აღმოსავლეთი

**ნორჩი დინამო 4:0 ჰერეთი**
1:0 გურაბანიძე (10), 2:0 ქავთარაძე (76), 3:0 ლაბარტყავა (87), 4:0 ტოსტიაშვილი (88)
**ნორჩი დინამო:** გაბრიჩიძე, ბ. მამარდაშვილი (კ. ნაჭყებია 53), ა. კალაძე, დაბრუნდაშვილი, ბოკუჩავა, გურაბანიძე, გ. გრიგალაშვილი, ლეთისავრიშვილი, ა. შენგელია (ლაბარტყავა 74), უხუნჭუნაშვილი (ტოსტიაშვილი 59), ქავთარაძე
*სათადარიგონი:* კ. დევიძე, ლ. გაბუნია, მამედოვი, ნეფარიძე
მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე
**ჰერეთი:** მატვიენკო, ლომიძე, ი. მაჭავარიანი, გვარაძე (თოფურია 46), ტაბატაძე, ბარაიშვილი, მაჭარაშვილი, შ. ლობჟანიძე, ყორღანაშვილი (ტყეშელაშვილი 74), გაბრიჭიძე (წვერავა 34), კუპრაშვილი
*სათადარიგონი:* ბილიხოძე, გელაშვილი, თანდაშვილი, ა. აბაშიძე
მწვრთნელი: ვლადიმერ ონიანი
გაფრთხილება: კალაძე, გრიგალაშვილი, ნაჭყებია, კუპრაშვილი
მსაჯი: ხ. გაგნიძე
50 მაყურებელი

**გაგრა 2 1:4 დილა**
0:1 ანდღულაძე (5), 0:2 ბარამიძე (27), 1:2 ხელაძე (483), 1:3 ბარამიძე (69), 1:4 ჩერქეზიშვილი (88)
*ბარამიძემ ვერ გაიტანა პენალტი (84)*
**გაგრა 2:** ა. კოტრიკაძე, ბ. ტეტუნაშვილი, ქერივიშვილი, ლ. კალანდაძე, კვანტალიანი, ლალიანი, ლ. სეთურიძე (დ. ჩხაიძე 58), ხელაძე, ა. ტეტუნაშვილი (ე. კილაძე 46), ხოკერაშვილი, ა. აბაშიძე (მესხი 46)
*სათადარიგონი:* გ. ნაჭყებია, სეფაშვილი, ყიფიანი, თუხარელი
მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე
**დილა:** დგებუაძე, ი. თოდუა, სორდია, დონდოლაძე, ჩიხრაძე, ქარდავა (ჩერქეზიშვილი 48), გ. გურეშიძე, ბ. მაჭავარიანი, ბარამიძე (ლაჩანიძე 88), ანდღულაძე, იჩქითი (ებანოიძე 85)
*სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი, ალთუნაშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, სურმავა
მწვრთნელი: პაატა მეტრეველი
გაფრთხილება: დგებუაძე, ბარამიძე, კალანდაძე, ხელაძე
მსაჯი: ი. ურუშაძე
50 მაყურებელი

**ამერი 0:2 დინამო 2**
0:1 ჯიშკარიანი (50), 0:2 ნემსაძე (81)
**ამერი:** გვენცაძე, თ. სანიკიძე (გ. ჯელაძე 85), გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, ბენდელიანი, კაკაბაძე, ხუციძე, ტიკურიშვილი (გრძელიძე 83), ლაფერაშვილი (ნ. ქებაძე 71), ჩიმაკაძე
*სათადარიგონი:* ბასილაური, ლ. ბოჯგუა, ჯინიკაშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
**დინამო 2:** ლორია, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, მამუჩიშვილი, ნემსაძე, კოპაძე (ცერცვაძე 73), ი. სიხარულიძე, ზ. ქანთარია (გ. ჩიკვაიძე 65), ნ. ჯიშკარიანი (ლექვთაძე 77)
*სათადარიგონი:* შარიქაძე, კეკელია, ჩადუნელი, ჭადაშვილი
მწვრთნელი: დავით კევლიშვილი
გაფრთხილება: მამუჩიშვილი, სანიკიძე, ნემსაძე
მსაჯი: თ. გვანცელაძე
600 მაყურებელი

**სიონი 2 4:1 კახეთი**
1:0, 2:0, 3:0 ჯიქიძე (24, 26, 55), 4:0 უგულავა (60), 4:1 ბიძინაშვილი (883)
**სიონი 2:** გურგენიძე, ლ. ჩხეტიანი, ნაყოფია, იობაშვილი, გაბიძაშვილი (არღვლიანი 80), ბუბუტეიშვილი, უგულავა, ვ. უგრეხელიძე (გიგინეიშვილი 46), ალფაიძე (ქობულაძე 72), ჯიქიძე, მ. ოქროპირიძე
*სათადარიგონი:* ჭაველაშვილი, შ. გაბრიჭიძე, ი. ბრეგვაძე, გიორბელიძე
მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი
**კახეთი:** ქუფარაშვილი, მ. ხიდეშელი (ხამხაძე 81), მურველაშვილი, ო. აბდულაევი, ხუმარაშვილი, ლ. გიგაური, კობაიძე (იმერლიშვილი 46), მელიქიშვილი, ლ. აბდულაევი, ბიძინაშვილი, ლ. ტეტიაშვილი (ძამუკაშვილი 46)
*სათადარიგონი:* კობრიაშვილი, ხუციშვილი
მწვრთნელი: გივი კობაიძე
გაფრთხილება: იობაშვილი, მურველაშვილი
მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი
200 მაყურებელი

**თბილისი 2:1 ჩიხურა**
0:1 მიქაძე (56), 1:1 სებისკვერაძე (70), 2:1 კბილცეცხლაშვილი (79)
**თბილისი:** ხარშილაძე, სარაჯიშვილი, დ. ამისულაშვილი, ოდიშარია, ხოხონიშვილი, გ. გურეშიძე, მიქელაძე (ი. მოდებაძე 88), ზვიადაძე (ჯაში 58), კბილცეცხლაშვილი, სებისკვერაძე, ტორონჯაძე
*სათადარიგონი:* გიორგობიანი, ჭაფოძე, ბელქანია, სულუხია
მწვრთნელი: გელა გომელაური
**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ზივზივაძე, მგალობლიშვილი, ბარაბაძე, ი. ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე (ლ. ჩიკვაიძე 80), ი. ზაბახიძე (ჭილაძე 85), ლ. კობახიძე, დოლონაძე, მ. მიქაძე, როგავა (პეტრიაშვილი 42)
*სათადარიგონი:* დოლაძე, ცარციძე, გულიაშვილი, მაჭარაშვილი
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე
გაფრთხილება: ნოზაძე, სებისკვერაძე, სარაჯიშვილი, ბარაბაძე, ჯაში, მიქელაძე, ტორონჯაძე, გურეშიძე
მსაჯი: გ. ვადაჭკორია
100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| სიონი 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| ამერი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ჩიხურა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| დილა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ნორჩი დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ჰერეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |
| გაგრა 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |

**მეოთხე ტური**

28 სექტემბერი
დინამო 2 – გაგრა 2
ჩიხურა – ამერი
ჰერეთი – თბილისი
დილა – სიონი 2
ვიტ ჯორჯია 2 – ნორჩი დინამო



# ისევ?!

## წინამძღვრიშვილს ნაოპერაციები მუხლი საოპერაციო გაუხდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „ამერის" თავდამსხმელის, რატი წინამძღვრიშვილის უიღბლობა გრძელდება.

ერთწლიანი მკურნალობის შემდეგ რატიმ უმძიმესი ტრავმა მოირჩინა, ფეხზე დადგა, კლუბს გოლებით დაუბრუნდა, 21-წლამდელებშიც მიიწვიეს და...

ნაკრებიდან „ამერში" დაბრუნებული წინამძღვრიშვილი ვარჯიშზე ისევ დაშავდა, თანაც მაშინდელივით, ისე, რომ არავინ შეხებია...

ამერელთა 20 წლის თავდამსხმელს ნაოპერაციები მუხლი ასტკივდა და ისევ საოპერაციოა.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, ზუსტად რა დაზიანება აქვს რატის და რამდენი გაუცდება ამჯერად, თუმცა წინასწარი დიაგნოზით, მყესები და მენისკია სამკურნალო.

იმედი დავიტოვოთ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება...

**ბაჩა შალამბერიძე**

# ბესიკ კოდალაევი მარტვილში გამოჩნდა



მურად ფოლუნეჯაშვილის ფოტო

ცხინვალის „სპარტაკის" ყოფილი მეკარე ბესიკ კოდალაევი პირველლიგელ მარტვილის „მერანში" გადავიდა.

კოდალაევი „სპარტაკიდან" წინა სეზონის ბოლოს წავიდა და რუსულ „სიბირში" ისინჯებოდა, თუმცა საქართველოში დაბრუნება მოუხდა.

ითქვა, მეკარე ცხინვალურ გუნდს დაუბრუნდებაო, თუმცა ასე არ მოხდა — კოდალაევმა უკვე ითამაშა „მერანში" და „ხობთან" გასვლით მატჩში (0:0) მშრალად შეინახა კარი.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ფეხბურთის ფედერაცია უეფადან შეამოწმეს

21-23 სექტემბერს უეფას დავალებით საქართველოს სტუმრობდა დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა SGS-ის წარმომადგენელი ალექსანდრე ანდრეიჩენკო. ვიზიტის მიზანი იყო ლიცენზირების სისტემის მუშაობის აუდიტი.

ორდღიანი შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნა გაიგზავნა ცენტრალურ ოფისსა და უეფაში.

„ლიცენზირების ორგანოების მუშაობაში არ არის გამოვლენილი დარღვევა. სისტემა მუშაობს გამართულად. სფფ-ის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს ლიცენზირების სისტემის მუდმივ განვითარებას საკლუბო ლიცენზირების სტანდარტის შესაბამისად. დადებითად შეფასდა სფფ-სა და სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხში და კერძოდ, ლიცენზირებაშიც" — წერია ანდრეიჩენკოს დასკვნაში.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ამდენი ქართველი თავადაც არ მსურდა

## ომარ თეთრაძე: პრობლემებით სავსე სამსახურზე სულაც არ ვოცნებობ



მახაჩყალის „ანჟის" პრემიერლიგაში გადასვლა უკვე ძალიან საეჭვოდ ჩანს — დაღესტნელებმა ბოლო ტურებში ბლომად ქულები დაკარგეს და მთავარი მწვრთნელი ომარ თეთრაძე გუნდის დატოვებასაც აპირებდა, თუმცა მერე სეზონის ბოლომდე დარჩენა გადაწყვიტა. მოკლედ, შვიდი ქართველი ფეხბურთელით (ვალერი აბრამიძე, მიხეილ აშვეთია, გიორგი ნავალოვსკი, რევაზ ჯიქია, ზურაბ არზიანი, რევაზ ბარაბაძე, გოჩა ხოჯავა) გაძლიერებული „ანჟი" მიზანს ველარ ასრულებს...

თეთრაძეს რუსული „სპორტ-ექსპრესი" ესაუბრა და ჩვენც ამ ინტერვიუს გთავაზობთ...

— **ბელგოროდში „სალიუტ-ენერგიასთან" ჩატარებული მატჩის შემდეგ განაცხადეთ, რომ მიდიოდით, თუმცა სამ დღეში გადაიფიქრეთ. მაინც რატომ დარჩით?**

— იმიტომ, რომ ჩემპიონატის ბოლომდე მესამედილა იყო გასავლელი. უნდა დავასრულო მუშაობა იმ გუნდში, რომელზეც პასუხისმგებელი ვარ. კლუბის პრეზიდენტს ფეხბურთი უყვარს, ფულს დებს, მაგრამ მის გვერდით არ არიან ადამიანები, რომლებიც დიდი ამოცანების გადასაწყვეტად მზად იქნებიან.

— **პრობლემებით აღარ დაიღალეთ?**

— არ დავღლილვარ, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კლუბს განსავითარებლად არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. მახაჩყალაში პირველად 2003 წელს ჩამოვედი როგორც ფეხბურთელი, ხოლო შემდეგ მწვრთნელად დავბრუნდი, მაგრამ ამ წლებში უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა, პირიქით, გაუარესდა.

— **სამაგიეროდ, ამბობენ, რომ პირველი დივიზიონის პირობაზე, „ანჟიში" მაღალი ხელფასებია...**

— ეს ლეგენდაა. მაინც რამდენიო?

— **10 000 დოლარი და მეტი...**

— ჩვენს გუნდში ასეთ ხელფასს მხოლოდ სამი ფეხბურთელი იღებს. „კუბანში", „სიბირსა" და „კამაზში" კი მსგავსი ანაზღაურება ჩვეულებრივი ამბავია... „როსტოვზე" ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... ერთი სიტყვით, ჩვენ სხვებთან შედარებით, საკმაოდ მოკრძალებულად გამოვიყურებით. თუმცა არ ვწუწუნებთ, რადგან კლუბის პრეზიდენტი ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია. სხვა საქმეა, რომ პირველ დივიზიონში არიან კლუბები, რომლებსაც ჩვენთან შედარებით, გაცილებით მეტი შეუძლიათ. ეს ობიექტური რეალობაა.

— **გუნდში შვიდი ქართველი გყავთ. ნამეტანი ხომ არ არის?**

— თავადაც არ მსურდა, რომ კლუბში ერთი ქვეყნის ამდენ წარმომადგენელს მოეყარა თავი. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სხვა ეროვნების კარგი ფეხბურთელები დაღესტანში ჩამოსვლაზე უარს ამბობენ, ხოლო ქართველები ამას თანხმდებიან. თან აღსანიშნავია, რომ ბევრ მათგანს რუსული პასპორტი აქვს.

— **რთულია, როდესაც გუნდში ერთად ბევრი ქართველი, ბრაზილიელი ან არგენტინელია?**

— რთულია. თუმცა ფეხბურთელები პროფესიონალურად იქცევიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ღირსეულ შედეგს ვაჩვენებდით და ვერც შინაარსიან თამაშს. თუმცა ისიცაა, რომ გუნდში რთული ვითარება არაერთხელ შეიქმნა.

— **აგვისტოში საქართველოსა და რუსეთს შორის განვითარებული მოვლენები „ანჟიზე" როგორ აისახა?**

— როდესაც კონფლიქტი დაიწყო, გასვლითი მატჩები გვქონდა ულიანოვსკსა და ნაბერეჟნიე ჩელნიში. იქ წარუმატებლად ვითამაშეთ, ბევრი არაფერი გამოგვივიდა... ისე, ჩვენთან ყველაფერი მშვიდადაა და ამ თემაზე ზედმეტად არ ვსაუბრობთ.

— **თბილისში დიდი ხნის წინ იყავით?**

— ზამთარში პირად საქმეებზე რამდენიმე დღით ვიყავი.

— **მახაჩყალელთა მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ყველაზე მეტად რა პრობლემამ შეგაწუხათ?**

— მახაჩყალაში ჩამოსული ფეხბურთელები ბაზაზე ცხოვრობენ. საერთო ჯამში, მათი რაოდენობა 16-ს შეადგენს. მათ წასასვლელი არსად აქვთ — ბაზის ფანჯრებიდან ერთ მხარეს ზღვა ჩანს, მეორე მხარეს მზისგან დამწვარი მიწა, შორს კი მთები. ასეთ ვითარებაში ადამიანები ერთმანეთისგან იღლებიან. განსაკუთრებით, სეზონის ბოლოს. პრობლემები, წყენა და გაუგებრობები თავს მწვავედ იჩენს. სამწუხაროდ, ამას ვერაფერს მოუხერხებ და მსგავსი მომენტი საბოლოო შედეგზე აისახება.

— **რაზე ოცნებობთ?**

— თუ ფიქრობთ, რომ პრემიერლიგაზე, ასე არ არის. მინდა, რომ მახაჩყალაში ფეხბურთი ვითარდებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ დაღესტანში მუშაობა ადვილი არ არის, მაინც საინტერესოა. მახაჩყალა თავისებური ადგილია — იქ თან ყველაფერია და თან არაფერი.

— **რა გეგმები გაქვთ?**

— კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდება. სეზონის დასრულების შემდეგ „ანჟის" ხელმძღვანელობას შევხვდები და ვისაუბრებთ. ჯერჯერობით, თავად არ ვიცი, რა იქნება. მით უმეტეს, რომ ისეთ სამუშაოზე არ ვოცნებობ, რომელიც პრობლემებისგან შედგება. თუმცა „ანჟის" მადლობელი ყოველთვის ვიქნები, რადგან ამ კლუბში მთავარ მწვრთნელად მუშაობის შანსი პირველად მომეცა.

# ნაკრებს ვჩიოდით და ჩემპიონატიც იქეთ გვრჩება
## ჯერ ხელბურთის ანბანი ვისწავლოთ...



საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღად ნოემბრის დასაწყისი დათქვა. თუმცა ჯერ ისიც არ არის გარკვეული, რამდენი გუნდი ითამაშებს ჩემპიონატში. ფედერაციას სურს, რომ თუ ახალგაზრდულ პირველობაზე რომელიმე გუნდი თავს გამოიჩენს, უმაღლესში მონაწილე ოთხ გუნდს დაამატოს და ჩემპიონატი ისე ჩაატაროს. მანამდე კი მოქმედი ჩემპიონის „სტუ-თელავის“ ამბებით დავინტერესდით — როგორი მდგომარეობაა გუნდში და უკვე ვარჯიშობენ თუ არა ხელბურთელები. ამ საკითხების გასარკვევად გუნდის მთავარ მწვრთნელს ირაკლი კეკელიძეს შევეხმიანეთ და...

— ჯერჯერობით ისიც არ ვიცით, ვითამაშებთ თუ არა ჩემპიონატში. „სტუ-თელავი“ ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდია და მათ დაფინანსებაზე ვართ. დაახლოებით ერთ კვირაში გაირკვევა, კიდევ შეინახავენ გუნდს თუ არა. საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ პრობლემები ჩვენც შეგვიქმნა. ზაფხულში ამ საკითხზე რომ ველაპარაკეთ, დაგვპირდნენ, ითამაშებთო, თუმც ახლა გარკვეული არაფერია.

**— ასეთი მდგომარეობის გამო მოთამაშეებიც ხომ არ წავიდნენ საზღვარგარეთ?**

— გიორგი და მამია კობახიძეები თურქეთში თამაშობენ. ირაკლი ჩიქოვანი სერბეთში წავიდა. ირანში არიან აკაკი ტალახაძე და გიორგი ქობელაშვილი. ქობელაშვილს მუხლის ტრავმა აქვს, მაგრამ ნელ-ნელა იმუშებს და თამაშს შეძლებს.

**— ირანის ჩემპიონატი დაბალი დონისა?**

— არა, პირიქით, საკმაოდ კარგი პირველობაა. ფული აქვთ და გააკეთეს ჩემპიონატი. ლეგიონერები ჩაჰყავთ, სერბები, ხორვატები... პირობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

**— თუ ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უარი თქვა გუნდის შენახვაზე მაშინ რას იზამთ. რომელიმე ბიზნესმენი რომ დაგეხმაროთ, რა ჯდება გუნდის შენახვა?**

— ჩვენ „გეპეი“ გვირჩევნია, რადგან ცალკე მოედანზე მოგვიწევს ზრუნვა. ელემენტარულად დღეში ორჯერ უნდა ივარჯიშო. საათით მოედნის დაკავება კი 30-40 ლარი ჯდება. ისეც შეიძლება, რომ ბიზნესმენები და სტუ შეამხანაგდნენ, მაგრამ არ ვიცი, რა იქნება. საერთოდ კი, წელიწადში 110 ათასი ლარია საჭირო გუნდის შესანახად — ჩემპიონატში სამონაწილეო შესატანი, ხელფასების და ფორმის ფული.

იმედი მაქვს, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება, მაგრამ თუ ვითამაშებთ, მაშინ ახალგაზრდებზე მოგვიწევს დაყრდნობა, რადგან, როგორც ვთქვი, მოთამაშეთა ძირითადი ბირთვი წავიდა. ანუ „სტუ-თელავი“ ისეთი ძლიერი აღარ იქნება, როგორც იყო.

**— ნაკრებზეც გკითხავთ. ევროპის შესარჩევს აღარ ვითამაშებთ. ამაზე რას გვეტყვით?**

— თავიდანვე ვამბობდი, რომ ევროპის შესარჩევი არ უნდა გვეთამაშა! ნაკრები სათანადოდ მომზადებული ვერ ხვდებოდა თამაშებს და ისე რა აზრი ჰქონდა?! მაშინ მითხრეს, რომ ქართული ხელბურთისთვის კარგი არ მინდოდა. ახლა ხომ გამოჩნდა, რომ მართალი ვიყავი. მაშინაც ფინანსების პრობლემა იყო და ახლაც ასეა. საბაბად საომარი მდგომარეობა დასახელდა, სინამდვილეში ფულია მიზეზი. რა, კალათბურთელებისთვის და ფეხბურთელებისთვის არ იყო საომარი მდგომარეობა?! მაგრამ რადგან გადაწყვიტეს მონაწილეობა, უკან აღარ უნდა დაეხიათ. ახლა რა გამოვიდა?

**— თქვით, ნაკრებს შესარჩევი არ უნდა ეთამაშა. მხოლოდ იმიტომ, რომ სათანადოდ ვერ მოემზადა?**

— აბა, ისე რა აზრი აქვს. ბიჭები ერთმანეთთან შეთამაშებულებიც არ არიან. სტუდენტური ჩემპიონატი რომ ვითამაშეთ, მაშინაც გვქონდა პრობლემები, ვერ მოვემზადეთ. ყველა ლეგიონერი თბილისში იყო და ის ვერ მოხერხდა, ბიჭები შეგვკრიბათ და ევარჯიშებინათ. ბევრი პრობლემებია, ელემენტარულად თაობათა შორის დიდი წყვეტაა. სერგო დათუკაშვილი 30 წლისაა, რატი მსხვილიძე ლამის ათი წლით უმცროსია და ერთად იშვიათად უწევთ თამაში, ისე კი არაფერი გამოვა. ეს მაგალითად მოვიყვანე, თორემ სხვებიც ასე არიან.

**— ფედერაცია ამბობს, ნაკრები „ჩელენჯ-ტროფს“ ითამაშებს, თან ბავშვთა ხელბურთს და ჩემპიონატს მივხედავთო...**

— არაფერი არ არის, ეს „ჩელენჯ-ტროფი“. წლეულს ხომ მოვიგეთ, მერე რა. კიდევ მოვიგებთ, ამით რამე შეიცვლება? არაფერი, ძალიან დაბალი დონეა. ვერ ექნებათ სერგო დათუკაშვილს, შოთა თევზაძეს, ვოვა რუსიას სტიმული ლუქსემბურგთან სათამაშოდ, არ არიან ეგენი ჩვენი დონის... მაგრამ შესარჩევში თამაში შესაბამისი მომზადების გარეშეც არ გამოვა...

**— და გამოსავალი?**

— ბავშვთა ხელბურთს, ჩემპიონატს უნდა მივხედოთ. ნულიდან არის ყველაფერი დასაწყები. დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, ბავშვებისთვის მწვრთნელები არ გვყავს და საერთოდ რაზეა საუბარი. ფედერაციამ როგორმე უნდა მოახერხოს, მწვრთნელები კურსებზე გაატაროს და მცირე ხელფასი მაინც დაუნიშნოს, რომ სტიმული ჰქონდეთ. მოთამაშე რომ ნაკრებში მოვა, მაშინ არ უნდა სწავლობდეს ხელბურთის ანბანს.

**ლექსო მაისურაძე**





მაკა ჩახნაშვილი



# ქართ-ქალური ჩოგნაობა ესპანეთსა და იტალიაში

**მაკა ჩახნაშვილმა** ქალაქ მესტრედან ლეჩეში გადაინაცვლა და იქაურ კორტებზე გაახურებს ჩოგნაობას. ჩახნაშვილი ტურნირზე მეოთხე ნომრად განთესეს. მისი პირველი მეტოქე საკვალიფიკაციოდან ამოსული ფრანგი კილი ლაინე იქნება. ლეჩეს ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია.

ქართველმა ჩოგბურთელმა ეკატერინე გორგოძემ კი ესპანეთში, ქალაქ გრანადაში მიმდინარე ტურნირზე კვალიფიკაცია გაიარა და ძირითად ბადეში მოხვდა. საკვალიფიკაციოში პირველი რაუნდის გამოტოვების შემდეგ, გორგოძემ ესპანელი კარლოტა კარტეს-ანდრესი გაუშვა დასასვენებლად — 6:2 6:4. მთავარ ტურნირში გადასასვლელი მატჩი კი ჩვენებურმა პორტუგალიელ დემი-მანუელა ბარაო როდრიგესთან მოიგო — 6:0 6:4.

ძირითადი ბადის პირველ რაუნდში ეკატერინე კარმენ ლოპეს-რუეადს დაუხვდება.

ამავე ტურნირზე საკვალიფიკაციო ვერ გადალახა სოფო ქვაცაბაიამ. ქვაცაბაია-გორგოძის ტანდემი წყვილთა გათამაშებაშიც გამოვა. მათ პირველ მეტოქედ ესპანელების, სერვერა-ვასკესისა და პარიზ-დიასის წყვილი ერგოთ.

**ზურაბ მიგრიაული**



# ერთპიროვნული ხუხაშვილი

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ორი ვაკანტური ადგილისთვის მიმდინარე მატჩ-ტურნირში ისევ ერთპიროვნულად ლიდერობს სოფო ხუხაშვილი. ის მეორე წრის პირველ ტურში ნინო ხურციძეს დაუზავდა, ხოლო მეორე ტურში დაისვენა. ამჟამად ხუხაშვილს 4 ქულა აქვს და ერთი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ ნინო ხურციძეს.

თავის მხრივ ნინო ხურციძემ მეორე წრის ორივე მატჩი ყაიმით დაასრულა. ნინომ მეორე ტურის შეხვედრაში ფრე სოფო გვეტაძესთან ითამაშა.

ტურნირში მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ სალომე მელია და სოფო გვეტაძე. მათ 2,5-2,5 ქულის მოგროვება შესძლეს და ნახევარი ქულით ასწრებენ ბოლო ადგილოსან მაია ლომინეიშვილს.

მეორე წრის მესამე ტურში ხუხაშვილი. გვეტაძეს დაუპირისპირდება, ლომინეიშვილი კი ხურციძესთან შეეცდება ქულის აღებას. სალომე მელია ამ ტურში დაისვენებს.

გეტყვით იმასაც, რომ უკეთესი რეიტინგის გამო საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში ორი ადგილი დაბევებული აქვთ მაია ჩიბურდანიძესა და ლელა ჯავახიშვილს. ნანა ძაგნიძემ ეროვნული გუნდის წევრობა საქართველოს ჩემპიონატის მოგების შედეგად მიიღო. მატჩ-ტურნირის გამარჯვებული ნაკრების მე-4 წევრი გახდება, მეორე ადგილზე გასული კი სათადარიგო წევრის სტატუსს მიიღებს.

**ზურაბ მიგრიაული**

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე. პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების

სუმო

# ტოჩინოშინი და კოკაი გათანაბრდნენ
## გაგამარუმ დადებითი გაინაღდა

**სუმოს** არსებობის ისტორიაში მეორედ მოხდა, რომ მაკუუჩი დივიზიონში ორი ქართველი სუმოისტი შეერკინა ერთმანეთს.

პირველად ასეთი რამ ივლისის ბაშოზე მოხდა და მაშინ კოკაიმ (ლევან ცაგურიამ) გაიმარჯვა. ახლა კი ტოკიოს სექტემბრის ბაშოზე უკვე ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძეს) მოიპოვა წარმატება. ამით ქართულ დაპირისპირებაში ანგარიში გათანაბრდა — 1:1.


კოკაის და ტოჩინოშინის ორთაბრძოლა

ამასთან ერთად ზუსტად ერთნაირი მოგება-წაგების მაჩვენებელი გაუხდათ ცაგურისა და გორგაძეს. თერთმეტი საშეჯიბრო დღის შემდეგ ორივე მათგანს შვიდი გამარჯვება და ოთხი მარცხი აქვს.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის ლევან ცაგურია საერთოდ პირველი პროფესიონალი ევროპელი სუმოისტია, რომელმაც კარიერა იაპონიაში გაიკეთა. ის 2001 წელს ჩავიდა ამომავალი მზის ქვეყანაში და ჭიდაობა დაიწყო. 2004 წელს კოკაიმ უკვე უმაღლეს, მაკუუჩი დივიზიონში მოხვდა. 2006 წელს ის კომასუბიც გახდა, მაგრამ ამის შემდეგ ქრონიკული ტრავმების გამო სტაბილურ გამოსვლას ვეღარ ახერხებდა. ბრწყინვალედ ჩატარებულ ტურნირს, საოცარ ჩავარდნას მოაყოლებდა ხოლმე და ამ შეჯიბრების წინ საერთოდ მაკუუჩიდან გავარდნის საფრთხის წინაშეც კი დადგა. ამ საშიშროებას ჯერაც არ გადაუვლია, თუ შეჯიბრებას დადებით ბალანსით ვერ დაასრულებს მაშინ გადაინაცვლებს ერთი დონით დაბლა — ჯურო დივიზიონში. თავისი პროფესიონალური კარიერის მანძილზე ცაგურიას 309 მოგება და 259 მარცხი აქვს. მაკუუჩიში — 212 გამარჯვება და 219 წაგება.

ახლა რაც შეეხება ტოჩინოშინს. ის 20 წლისაა, მისი სიმაღლე 192 სმ-ია, წონა — 155 კგ. სუმოს სამყაროში 2006 წლის მარტში გამოჩნდა, 2008 წლის მაისში კი მაკუუჩი დივიზიონში პირველი ტურნირი ჩაატარა. რეიტინგში ყველაზე მაღლა ახლა დგას, ალმოსავლეთის მეათე მაეგეშირაა. კარიერის მანძილზე ჩატარებული შეხვედრებიდან 97 მოგება და 43 წაგება აქვს. აქედან უმაღლეს დივიზიონზე 22 გამარჯვება და 19 მარცხი მოდის.

შეჯიბრების დასრულებამდე ოთხი დღელა რჩება. საკმარისია, ამ ორთაბრძოლებიდან ჩვენმა სუმოისტებმა თუნდაც თითო-თითო გამარჯვება მოიპოვონ და რეიტინგში დაწინაურებასაც გაინაღდებენ.

დღეს ლევან გორგაძე, დასავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირას, კაკიძოეს შეერკინება. ამ 30 წლის მებრძოლს არავითარი განსაკუთრებული მონაცემები არ გააჩნია — 177 სმ და 138 კგ. 7 წელიწადია, რაც სუმოშია და აქედან მეხუთე სეზონს ატარებს მაკუუჩიში. ერთი პერიოდი, მან კომისუბობამდეც კი მიაღწია, მაგრამ შემდეგ მის კარიერაში უკანსვლა დაიწყო. მიმდინარე ტურნირზე, ტოჩინოშინის მომავალ მეტოქეს 6 მოგება და 5 წაგება აქვს.

ლევან ცაგურიას დღევანდელი მეტოქე მასავით 7-გამარჯვებიანი და 4-მარცხიანი დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა ვაკანოსატოა. ეს ფალავანი უკვე ვეტერანადაც კი ითვლება. სუმოს ჭიდაობა 16 წლის წინ, 1992 წელს დაიწყო, უმაღლეს დივიზიონში 1998 წელს ავიდა, ერთი პერიოდი სეკივაკობამდეც მივიდა. ქართველს გამარჯვებისთვის ბლომად ძალების დახარჯვა მოუწევს, მიუხედავად იმისა, რომ ორთაბრძოლა სულ რამდენიმე წამს გრძელდება.

13262 მალიორკა-ნუმანსია --------------- 1.70 ---- 1.90
13515 იორგრიტე-ჰეკენი ------------------ 1.70 ---- 1.80
13984 აიაქსი-უტრეხტი -------------------- 1.90 ---- 1.70

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2

(0:0 ითვლება წყვილად)

17253 უელვა-ბილბაო --------------------- 1.85 ---- 1.95
17255 ვალიადოლიდი-ალმერია --------- 1.85 ---- 1.95
17257 მალაგა-ვალენსია ------------------- 1.85 ---- 1.95
17262 მალიორკა-ნუმანსია --------------- 1.85 ---- 1.95
17515 იორგრიტე-ჰეკენი ------------------ 1.85 ---- 1.95
17984 აიაქსი-უტრეხტი -------------------- 1.85 ---- 1.95
17001 პორტსმუთი-ტოტენჰემი ----------- 1.85 ---- 1.95

## სენდეროსი მალე დაბრუნდება

**„მილანის“** მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი იმედოვნებს, რომ შვეიცარიელი მცველი ფილიპ სენდეროსი უახლოეს მომავალში სრულად გამოჯანმრთელდება და კლუბის დახმარებასაც შეძლებს.

„ვფიქრობ, სენდეროსი მომავალ კვირას გუნდთან ერთად ვარჯიშს განაახლებს და იგივეს თქმა ინძაგიზეც შემიძლია“ — განაცხადა „როსონერის“ თავკაცმა.

შევახსენებთ, რომ სენდეროსი „სან სიროზე“ ამ ზაფხულს ლონდონის „არსენალიდან“ იჯარით გადმობარგდა და მას შემდეგ შვეიცარიელს ზურგის ტრავმა აწუხებს.

## ვიერის ოქტომბერში ელიან

**ბერგამოს** „ატალანტას“ პრეზიდენტმა ივან რუჯერიმ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ფორვარდი კრისტიან ვიერი მხოლოდ ოქტომბრის შუაში შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

„კრისტიანს მოედანზე მხოლოდ მომავალ თვეში ვიხილავთ. ჩვენი სამედიცინო პერსონალი იმედოვნებს, რომ ვიერი 19 ოქტომბერს, „კიევოსთან“ თამაშისთვის მზად იქნება, თუმცა სრულფასოვანი მატჩის გამართვას მომდევნო კვირას, „მილანის“ წინააღმდეგ თუ შეძლებს“ — ბრძანა ლომბარდიული კლუბის ბოსმა.

## გუტი, გაგო და სნეიდერი 19 ოქტომბერს

**მადრიდის** „რეალის“ დამრიგებლის ბერნდ შუსტერის განცხადებით, „სამეფო კლუბის“ ტრავმირებული ნახევარმცველები — გუტი, ფერნანდო გაგო და უესლი სნეიდერი — მოედანზე მხოლოდ 19 ოქტომბერს დაბრუნდებიან, როცა „რეალს“ „ატლეტიკოსთან“ მადრიდული დერბის თამაში მოუწევს.

„გუტი უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშებს. ის და გაგო მწყობრში დაახლოებით ერთდროულად ჩადგებიან. იმედია, „ატლეტიკოსთან“ მატჩისთვის მათთან ერთად სნეიდერიც სრულ მზადყოფნაში იქნება“ — თქვა გერმანელმა სპეციალისტმა.

## იუვე სუბოტიჩმა მოხიბლა

**ტურინის** „იუვენტუსი“ ბუნდესლიგის „დორტმუნდის“ მცველით ნევენ სუბოტიჩით დაინტერესდა. 19 წლის ამერიკელმა ფეხბურთელმა „ბებერი ქალბატონის“ სპორტული დირექტორის ალესიო სეკოს ყურადღება მიიპყრო, რომელიც „ბიანკონერის“ დაცვის ცენტრის გასაძლიერებლად მოთამაშეებს ეძებს. სუბოტიჩმა ამ სეზონში დორტმუნდელთა შემადგენლობაში 5 მატჩი ჩაატარა და 3 გოლის გატანაც მოასწრო.

## დეგენის ორი ნეკნი

**ინგლისური** „ლივერპულის“ მცველმა ფილიპ დეგენმა „ქრიუსთან“ ლიგის თასის მატჩში ორი ნეკნი მოიტეხა და გარკვეული პერიოდი დასვენება მოუწევს. ამის შესახებ ჟურნალისტებს მერსისაიდელთა ესპანელმა დამრიგებელმა რაფაელ ბენიტესმა აუწყა.

## მილანი, ინტერი და ჟუანი

**იტალიურმა** გრანდებმა, „მილანმა“ და „ინტერმა“ „რომის“ მცველ ჟუანს დაადგეს თვალი. ამასობაში, „ჯალოროსის“ ბრაზილიელთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურს, რომელიც 2011 წლამდეა დადებული. ჟუანი კი ორივე კლუბის შეთავაზებების განხილვას აპირებს.

## ამსტერდამული ტრავმები

**ამსტერდამის** „აიაქსი“ დანაკარგებს განიცდის. კვირას, „ფეიენოორდთან“ შეხვედრისას ტრავმა კლუბის სერბმა ფორვარდმა მირალემ სულეიმანიმ მიიღო. სამედიცინო შემოწმებამ 19 წლის თავდამსხმელს მუხლქვეშა მყესის დაზიანება აღმოუჩინა, რის გამოც კლუბის ახალწვეულს ორი თვე მოუწევს დასვენება.

ასეთივე ტრავმა აღმოაჩნდა ამსტერდემელთა მეორე ახალწვეულს, მარჯვენა მცველ ოლეგერ პრესასს, თუმცა 28 წლის კატალონიელს უფრო გაუმართლა და, ექიმების თქმით, იგი სამ კვირაში შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

## კვლავ დეზები და არშავინი

**ბრიტანულ** პრესაში ანდრეი არშავინის თემა კვლავ აქტუალურია. ალბიონური გაზეთების ცნობით, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ პრეზიდენტი დენიელ ლევი რუსი ფეხბურთელის სანაცვლოდ ამჯერად 15 მილიონი გირვანქის ჩამოსვლას აპირებს. შევახსენებთ, რომ ზაფხულში „დეზების“ ხელმძღვანელობა ამ ტრანსფერის განსახორციელებლად მხოლოდ 18 მილიონი ევროს გადახდას თანხმდებოდა.

## მოდრიჩი ბრუნდება, ჰატონი იცდის

**ლონდონის** „ტოტენჰემის“ გამთამაშებელი ლუკა მოდრიჩი გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. ხორვატმა მუხლის ტრავმა გასულ ორშაბათს, „ასტონ ვილასთან“ შეხვედრაში მიიღო, რომელიც „დეზებმა“ 1:2 დათმეს.

რეაბილიტაციას განაგრძობს ალან ჰატონი, რომელსაც ტერფის ტრავმა აწუხებს. შოტლანდიელი ფეხბურთელი ოქტომბერ მორიგ სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რაც მის მდგომარეობას უფრო ნათელს გახდის.

**არჩილ ქოგახიძე**

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი კაკაბაძე**

ლეგენდა №77

## არამფრინავი ჰოლანდიელი




მას ფრენის ეშინოდა და ამის გამო, კარიერის განმავლობაში ძალიან ბევრი მატჩი გამოტოვა. მიუხედავად ამისა, დენის ბერხკამპმა წარუშლელი კვალი დატოვა ფეხბურთის ისტორიაში.

შეუძლებელი იყო, ფეხბურთის მოყვარული აღფრთოვანებაში არ მოეყვანა ბერხკამპის თამაშის ინტელექტუალურ სტილს, მის დახვეწილობას, ლამაზ ფინტებს, დარტყმებს, პასებსა და მოედნის ხედვას.

პელემ იგი 125 საუკეთესო ცოცხალ ფეხბურთელთა სიაში შეიყვანა. ბერხკამპი შესულია პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესოთა შორისაც, ასევე ინგლისური ფეხბურთის საპატიო სიაში (ამ მხრივ იგი პირველი ჰოლანდიელია). ბერხკამპი ორჯერ გავიდა მესამე ადგილზე ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში. თუმცა არანაირი ჯილდო არ იყო და არ არის საჭირო ბერხკამპის ბრწყინვალე თამაშის დასაფასებლად.

1969 წლის 10 მაისს, ამსტერდამში დაბადებული დენის ბერხკამპის მშობლები ფეხბურთის ფანები იყვნენ და ვაჟს „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „მანჩესტერ სიტის“ შოტლანდიელი თავდამსხმელის დენის ლოუს საპატივცემულოდ დაარქვეს სახელი.

კარიერა ამსტერდამის „აიაქსში“ 1986 წელს დაიწყო და იქ 1993 წლამდე დარჩა, ჩაატარა 208 მატჩი და გაიტანა 116 გოლი.

1993 წელს „არამფრინავი ჰოლანდიელი“ მილანის „ინტერში“ გადაბარგდა, თუმცა „ნერაძურიში“ მისი კარიერა არცთუ წარმატებული გამოდგა. მას არც თამაში წაუვიდა და არც ურთიერთობა აეწყო, როგორც რამდენიმე თანაგუნდელთან, ასევე იტალიურ პრესასთან.

1995 წელს იგი „არსენალში“ გადაბარგდა, სადაც ფრანგ სპეციალისტ არსენ ვენგერს ძალიან კარგად გაუგო და კარიერის ბოლომდეც იქ დარჩა. კარიერა 2006 წელს დაასრულა. „მეთოფეების“ რიგებში ბერხკამპმა 393 შეხვედრა ჩაატარა და 106 გოლი გაიტანა.

2008 წლის 14 ივლისს დენის ბერხკამპი „არსენალის“ ყველა დროის 50 საუკეთესო ფეხბურთელს შორის მეორე ადგილზე დასახელდა (ჩამორჩა მხოლოდ ტიერი ანრის).

„არამფრინავი ჰოლანდიელის“ გარდა, ფანებმა მას კიდევ არაერთი მეტსახელი შეარქვეს — „ყინულის კაცი“, „ღმერთი“, „ჰოლანდიელი დიდოსტატი“...

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, „ნარინჯისფერთა“ ღირსებას ბერხკამპი 1990-2000 წლებში იცავდა და 79 თამაშში 37 გოლის გატანა შეძლო.

დენის ბერხკამპი ნაკრებთან ერთად დიდ წარმატებასთან ყველაზე ახლოს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო. მეოთხედფინალში არგენტინასთან დრამატულ მატჩში, ჰოლანდიამ 89-ე წუთზე ბერხკამპის ძალიან ეფექტური გოლით 2:1 მოიგო. თუმცა ნახევარფინალში „ნარინჯისფერები“, მიუხედავად კარგი თამაშისა, პენალტების სერიაში ბრაზილიასთან დამარცხდნენ, მესამე ადგილისთვის შეხვედრა კი გულგატეხილებმა ხორვატიის სიმპათიურ და მებრძოლ ნაკრებთან დათმეს.

დაახლოებით იგივე განმეორდა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე, როცა ჰოლანდია ნახევარფინალში იტალიასთან პენალტების სერიაში დამარცხდა. არადა, „სკუადრა აძურამ“ შეხვედრის დიდი ნაწილი ათი კაცით ჩაატარა და „ნარინჯისფერები“ გვარიან უპირატესობას ფლობდნენ — ძირითადი დროის მსვლელობისას ორი პენალტიც კი გააცუდეს...

რაც შეეხება ფრენის შიშს, ავიაფობია ბერხკამპს 1994 წლის მერე აქვს, როცა ნაკრებთან ერთად აშშ-ის მუნდიალზე მიემგზავრებოდა. გავრცელდა პროვოკაციული ცნობა თვითმფრინავში არსებული ბომბის შესახებ, რამაც პანიკა და შიში გამოიწვია. გარდა ამისა, ბერხკამპს გაახსენდა უბედური შემთხვევა, რამაც არაერთი სურინამელ-ჰოლანდიელი ფეხბურთელის სიცოცხლე იმსხვერპლა და მას მერე დენისი გასვლით მატჩებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიემგზავრებოდა, თუ მანქანით ან მატარებლით აზერხებდა ჩასვლას.

ბერხკამპს ჰყავს მეუღლე ჰენრიეტა რუიზენდაალი და ოთხი შვილი — ესტელი, იასმინი, საფრონი და მიტჩელი. ამჟამად იგი ინგლისში, კერძოდ ჰერტფორდშირში ცხოვრობს.

არსენ ვენგერი: „ინტელექტი და კლასი. რა თქმა უნდა, კლასი ყველაზე ხშირად უკავშირდება იმას, თუ რას აკეთებ ბურთით, მაგრამ ინტელექტი გაძლევს საშუალებას, შენი ტექნიკა მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოიყენო. ვინმე შეიძლება ძალიან განათლებული იყოს, მაგრამ ინტელექტუალურად საუბარი არ შეეძლოს, ვინმე კი განათლებულიც იყოს და ინტელექტუალურადაც საუბრობდეს. დენისს მეორე ვარიანტი შეეფერება. რასაც აკეთებდა, მის ნალვაწში ყოველთვის ჩანდა აზროვნება და ჭკუა. ტექნიკა და ინტელექტი ბერხკამპს საშუალებას აძლევდა, გაეკეთებინა ის, რაც სურდა“.

2006 წლის აპრილში დეიმონ კუპერმა Financial Times-ში დაწერა: „გასული წლის ერთ საღამოს ჰოლანდიური ფეხბურთის რამდენიმე ლეგენდა ამსტერდამში სადილობისას ერთ მაგიდასთან შეიკრიბა. საუბრისას, ერთი ბანალური და ძველი კითხვა დაისვა — ვინ არის ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელი? ჰოლანდიელებს „ოქროს ბურთი“, გერმანელების მერე, ყველაზე მეტჯერ, 7-ჯერ მოუგიათ. იური მულდერმა, ჩინებულმა ცენტრფორვარდმა, რომელიც შემდგომ მწერალი გახდა, დაასახელა ფეხბურთელი, რომელიც არასოდეს ცდილობდა ჯილდოების მოგებას: „ბერხკამპი. მას ყველაზე საოცარი და დახვეწილი ტექნიკა ჰქონდა“. გუს ჰიდინკმა, ბრწყინვალე ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, თავი დააქნია და საკითხიც მარტივად გადაიჭრა“.

დაბოლოს, იმავ არსენ ვეგერის ერთ დღეს ნათქვამი სიტყვები: „ბერხკამპი ჩემს გუნდში რომ არ თამაშობდეს, დიდი სიამოვნებით გადავიხდიდი ბილეთში ფულს, რათა მისი თამაშისთვის მეყურებინა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოუენი ეშლის შველას სთხოვს

**მაიკლ ოუენმა** „ნიუკასლ იუნაიტედის“ მეპატრონეს, მაიკ ეშლის შეუძახა: „ამ არეულობას ბოლო სწრაფად უნდა მოეღოს!“

და ამაში გასაკვირი არაფერია. „კაჭკაჭთა“ თავდამსხმელს მწვრთნელის გარეშე თამაში არ ეპიტნავება. ის გრძნობს, რომ წასული კევინ კიგანის ნაცვლად სასწრაფოდ არის მოსაყვანი ახალი თავკაცი.

სადღეისოდ „ნიუკასლ იუნაიტედი“ პრემიერლიგაში მე-17 ადგილზეა. გუშინ, ის „კარლინგის თასზე“ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ შეხვდა და, რამდენადაც ცნობილია, „სენტ ჯეიმს პარკისთვის“ ბოლო 17 წელიწადში უპრეცედენტოდ ცოტა მაყურებელი, მხოლოდ და მხოლოდ 20 ათასი შეკრიბა — ეს კატასტროფაა.




ოუენი: „ამ საშინელი მდგომარეობიდან რაც უფრო მალე გამოვალთ, მით უკეთესია. დროა, ისევ ფეხბურთის თამაშზე გადავიტანოთ ყურადღება. გუნდის გარშემო უამრავი ჭორი დადის და ეს, როგორც ფანებს, ასევე ფეხბურთელებს აბნევს და კალაპოტიდან აგდებს. ჩემი ღრმა რწმენით, ფეხბურთელი უკეთ მაშინ თამაშობს, როდესაც მწვრთნელი თავის ადგილზეა. მწვრთნელი ის ფიგურაა, რომლის გარშემოც იყრის თავს ყველაფერი. ფეხბურთელები მისთვის თამაშობენ, ცდილობენ, მას მოაწონონ თავი. ჩვენი დროებითი თავკაცი, კრის ჰაფტონიც კი, რომელიც ჩინებულად ართმევს ამოცანას თავს და გვხელმძღვანელობს, ამბობს, რომ რაც უფრო მალე მოიყვანენ ახალ მწვრთნელს, მით უკეთესი იქნება. ეს მართლაც ყველამ იცის, ჰაფტონი კი ყველა ღონეს ხმარობს, ახალი მწვრთნელის მოსვლამდე ვითარება რომ დაალაგოს.

მერედა, „ნიუკასლში“ მარტო მწვრთნელის პრობლემა რომ გვქონდეს, კიდევ რა გვიჭირდა. ჩვენ ისიც არ ვიცით, კვლავ ყიდის მაიკლ ეშლი კლუბს თუ არა. წარმოდგენა არა გვაქვს, ვინ იქნება ჩვენი ახალი პატრონი. არ ვიცით, ახალ მწვრთნელს ახალი პატრონის გამოჩენამდე დაგვინიშნავენ თუ არა.

ერთადერთი, რაც დანამდვილებით შეგვიძლია მოგახსენოთ, ის არის, რომ ამ სიტუაციას რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაესვას წერტილი, რათა ფეხბურთელებმა ისეთივე მონდომებით მივხედოთ ჩვენს საქმეს, როგორც სეზონის წინ, ზაფხულში. ყველას მოგვწონდა კევინ კიგანი და მისმა წასვლამ ყველას დაგვწყვიტა გული, მაგრამ, რაც არის, არის, ჩვენ მოთამაშეები ვართ და რეზულტატისთვის ბრძოლა გვევალება. რას იზამ, მწვრთნელები მიდიან და მოდიან. ასეთია თანამედროვე ფეხბურთი. „რეალში“ რომ ვთამაშობდი, ორ-სამ თვეში სამი მწვრთნელი გამოგვიცვალეს“...

**პაპუნა ქედია**



# პოსებონი გადარჩა

**ალექს ფერგიუსონმა** როდრიგო პოსებონის წინააღმდეგ ემანუელ პოგატეცის უხეშობა ვერ აიტანა. პოგატეცი, მოგეხსენებათ, „მიდლსბროს“ კაპიტანია, რომელიც ხსენებული ეპიზოდის გამო მოედნიდან გააძევეს. უხეშობის შედეგად კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბრაზილიელ ნახევარმცველ პოსებონს მარჯვენა ფეხიდან სისხლი სდიოდა და, ის კი არა, ექიმებმა ჟანგბადიც კი ასუნთქეს — ეს ამბავი „კარლინგის თასზე“ მოხდა.

„ეს საშინელი შეჯახება იყო — აღშფოთდა სერ ალექსი — ეს ეპიზოდი ჩანაწერში ვნახე და ვიგრძენი, რომ მისი კიდევ ერთხელ გამეორება აღარ მინდოდა. შეტაკება საშინელი იყო, ჩვენი მოთამაშე საავადმყოფოში წაიყვანეს. საშინელებაა, ბავშვი „იუნაიტედის“ შემადგენლობაში პირველად თამაშობდა და პირველსავე შეხვედრაში ასე დაამტვრიეს. ამ ეპიზოდის შემდეგ დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში ყველა დამუნჯდა. ამ უხეშობამ თამაშს მნიშვნელობა დაუკარგა. და ასეთი ეპიზოდების დამახასიათებელი თვისება რა არის, იცით? ის, რომ ადამიანი, რომელმაც იუხეშა, ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობს, უდანაშაულო ვარო“.

19 წლის პოსებონი „ოლდ ტრეფორდზე“ გამართული მატჩის („იუნაიტედმა“ 3:1 გაიმარჯვა) 65-ე წუთზე დაშავდა. ის საკაცით, საგანგებო არტახდადებული გააქანეს საავადმყოფოში. საბედნიეროდ, საავადმყოფოში დადგინდა, რომ ჭაბუკი მოტეხილობას გადარჩა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ პრესმდივანმა განაცხადა:

„ვადასტურებთ, რომ როდრიგუს მარჯვენა ფეხი არ მოუტეხია“.

და ისევ ფერგიუსონი: „მეტოქის სათადარიგოთა სკამზე კი ვიღაც ღრიალებდა, ჩვენი ფეხბურთელი გასაგდები არ არის, რატომ აგდებთო“.

„მიდლსბროს“ თავკაცი გარეთ საუთგეიტი: „არაფერი მაქვს სათქმელი. ფეხბურთელს ბოდიშს ვუხდი. იმედი მაქვს, ტრავმა სერიოზული არ არის და ის მალე გამოჯანმრთელდება. ჩვენს სათადარიგოთა სკამზე კი რამდენიმემ მართლა სხვანაირად დაინახა ეს ეპიზოდი“.

**პაპუნა ქედია**

## ძოლა თანამემამულეს უმიზნებს

**ლონდონის** „ვესტ ჰემი“ ფლორენციის „ფიორენტინას“ და იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა რიკარდო მონტოლივომ დააინტერესა. 23 წლის ფეხბურთელი იანვარში „ჩაქუჩების“ იტალიელი თავკაცის, ჯანფრანკო ძოლას მთავარი სამიზნე იქნება, თუმცა „იების“ დამრიგებელი ჩეზარე პრანდელის გაშვებას არსად აპირებს.

„მონტოლივო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა. რიკარდოს ჭეშმარიტად ჩემპიონური ხასიათი აქვს და ამჟამად მასთან განშორებისთვის მზად არ ვართ“ — აღნიშნა ტოსკანური გუნდის ხელმძღვანელმა.

„აპტონ პარკის“ ბინადარნი კი ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქის გაღებას აპირებენ.

## ფეინდუნო და ნივალდუს ყატარი

**გვინეის** ნაკრების ნახევარმცველი პასკალ ფეინდუნო ფრანგულ „სენტ-ეტიენის“ ტოვებს და ყატარის „ალ საადში“ გადადის. მასთან ერთად ყატარში ბრაზილიელი მცველი ნივალდუც გაემგზავრება. არაბებს ორივე ფეხბურთელის ტრანსფერი 7 მილიონი ევრო დაუჯდათ.

27 წლის ფეინდუნოს ყატარში გადასვლის მიზეზი, რა თქმა უნდა, მაღალი ხელფასია. „ალ საადის“ ხელმძღვანელობა ფეხბურთელს წელიწადში 2 მილიონ ევროს გადაუხდის, „სენტ-ეტიენი“ კი გვინეელს ასეთ პირობებს ვერ შესთავაზებდა.

**არჩილ ძოგახიძე**

# გაანებეთ ამ ბიჭს თავი!




**„ვერდერისგან“** ხუთი გოლის გამშვებ მიხაელ რენზინგს „ბაიერნის“ ყოფილი მეკარე ოლივერ კანი ადვოკატად დაუდგა და ისიც თქვა, რომ ფეხბურთში დაბრუნებას არ აპირებს.

„ბაიერნმა“ შაბათს შინ „ვერდერთან“ 2:5 წააგო, რაც ბოლო 30 წელიწადში გუნდისთვის ყველაზე საშინელი მარცხი იყო. მეოთხე და მეხუთე გოლები გერმანულმა მედიამ მიხაელ რენზინგს დააბრალა, ოლივერ კანი კი 24 წლის ბიჭს „გადაეფარა“: „ყოველთვის ვამბობდი, რომ როცა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან გაქვს საქმე, მსგავსი ჩავარდნები მოსალოდნელია, ამიტომ, რენზინგის კრიტიკა უსამართლოა და მის კლასში დაეჭვება არ შეიძლება.

მაგალითად, იკერ კასილიასს მოვიყვან. ოცისაც არ იყო, „რეალის“ ძირითადი შემადგენლობის მეკარე რომ გახდა და გულშემატკივრები ამის წინააღმდეგნი იყვნენ. კლუბი გვერდში დაუდგა და ახლა კასილიასი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მეკარეს ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა“.

„ბილდის“ მატჩის შემდეგ გამოკითხვა ჩაატარა და რესპონდენტთა 60-მა პროცენტმა „ბაიერნის“ კარში ოლივერ კანის დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ მეკარე უარზეა: „ჩემი დაბრუნება საქმეს არ უშველის, მე კარიერა უკვე დავასრულე და გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებ. „ბაიერნში“ ბევრი სიახლეა და გუნდის გასაკეთებლად დროა საჭირო. ნურავინ იფიქრებს, რომ მიხაელ რენზინგი უმალ გახდება ისეთი, როგორიც მე ვიყავი საუკეთესო წლებში. ახალგაზრდაა და ნელ-ნელა გამოცდილებას მიიღებს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შერილის წერილი ხალხს


ეშლი და შერილ კოულები

**ლამაზმანმა** პოპ-ვარსკვლავმა შერილ კოულმა წიგნში, რომელიც ინგლისელ მკითხველამდე სულ მალე მივა და რომლის ფრაგმენტებს ჟურნალი OK აქვეყნებს, გულწრფელად დაწერა, თუ რატომ აპატია ფეხბურთელ მეუღლეს, ეშლი კოულს სხვა ქალთან მამაძაღლობა, თუმცა ისიც დასძინა, მომავალში მეუღლის გამკონტროლებელი რომ არ არის, კარგად იცის.

ისტორიაში, რომელიც საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილია და რომელიც პირველ აბზაცში ორი სიტყვითაც ჩაეტია, მონაწილეობდნენ: „გელზ ელაუდის" 25 წლის სოლისტი, ხსენებული შერილ კოული, მისი 27 წლის ქმარი, „ჩელსის" ვარსკვლავი ეშლი და მავანი 22 წლის გოგოშკა, პარიკმახერი... უკაცრავად, სტილისტი ემი უოლტონი, რომელიც ეშლი კოულმა სიმთვრალეში სადღაც ბარში თუ პაბში გამოძებნა.

„ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და ამიტომ, ზოგი წყვილი სამუდამო თანაცხოვრებისთვის არის შექმნილი, ზოგი კი არა. საზოგადოებას ქორწინებასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები აქვს, მე კი ჩემი შეხედულებებით ვსარგებლობ და, რაც მთავარია, ცხოვრებისგან ღლენიადაგ ვსწავლობ".

გასულ კვირაში ინგლისურმა ტაბლოიდებმა საგანგებო ყურადღება გაამახვილეს იმ ამბავზე, რომ შერილ კოული ჯონათან როსის შოუზე 160 000-გირვანქიანი ბრილიანტის ბეჭდით მივიდა. რამდენადაც ცნობილია, ეს ბეჭედი მეუღლეს ეშლიმ აჩუქა, ოღონდ შერილს ის სახალხოდ არასდროს კეთებია. მეტიც, ახალი ბეჭედი კოულს ცოლისთვის ძველი ქორწინების ბეჭდის სანაცვლოდ უჩუქებია — „ის" ბეჭედი ღალატით შეურაცხყოფილ ქალს თავიდან მოუშორებია, თუმცა დრო რომ გავიდა, ვნებები დაცხრა და დღეს „გელზ ელაუდის" პირმშვენიერი მომღერალი ამბობს, რომ მისი და ეშლის ოჯახი გადარჩენად ღირს.

„როდესაც საქორწილო ცერემონიალზე ფიცი დავდე, სიტყვები ჰაერში არ გამისვრია — წერს შერილი — რასაც ვამბობდი, იმას ვგულისხმობდი კიდეც. ფიცს ვდებდი როგორც კარგი, ასევე ცუდი დღეებისთვის, ცხოვრებაში კი კარგი დღეებიც არსებობს და ცუდიც. ანდა, რა ფასი აქვს ისეთ რამეს, რისთვისაც ბრძოლაც კი არ გიღირს"?

შემდეგ შერილ კოულმა განმარტა, რომ მისთვის ეშლის თავისუფლებაც მნიშვნელოვანია. პოპ-ვარსკვლავი არამც და არამც არ აპირებს იმ პარანოიკ ცოლად ქცევას, რომელიც მეუღლეს დღენიადაგ უთვალთვალებს და ამოწმებს.

„ადამიანები ხშირად ცდებიან, ეშლი კი თავისუფალი კაცია. არც მე გახლავართ მისი დარაჯი. საერთოდაც, მწამს, რომ ნებისმიერი ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს. ყველა საკუთარი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს, ასე რომ, ეშლის არავინ უშლის მეგობრებთან წასვლას, როცა კი მოეპრიანება. ხომ გითხარით, უშეცდომო ადამიანი კი არ არსებობს. არც მე ვარ ასეთი, მაგრამ, ყოველი შეცდომის შემდეგ ცხოვრებას მეორე შანსი რომ არ მოეცა, ვინ იცის, ახლა სად და როგორ ვიქნებოდი".

მაგრამ, ფილოსოფია ფილოსოფიად და როდესაც ქმრის ღალატის ამბავი შეიტყო, შერილ კოულმა, რასაკვირველია, ძლიერ განიცადა.

„მე რომ გადავიტანე, იმაზე მეტი გულისტკივილი და ტირილი შეუძლებელია. ცხოვრებაში უმაღლეს მწვერვალზეც ვყოფილვარ და უმდაბლესადაც დავნარცხებულვარ, ამიტომ, ერთ მშვენიერ დღეს თავს სადღაც შუაში რომ აღმოვაჩენ, ბედნიერი ვიქნები".

შერილ კოულმა, რომელმაც გასულ კვირას ლონდონის „ფეშენ კვირაში" პოდიუმზე დებიუტითაც მიიპყრო საზოგადოების ყურადღება კიდევ ის დაწერა, რომ ეშლისთან შერიგების მიუხედავად, ღალატით გამოწვეული საძაგელი ემოცია ვერა და ვერ მოიშორა.

„ჯერ კიდევ „იქ" ვარ და თავში ბევრი რამ მაქვს დასალაგებელი. იცით, სასიყვარულო დრამა თინეიჯერობის ასაკშიც გადამხდენია. მაშინ, მთელი ორი წლის განმავლობაში, კლინიკურ დეპრესიაში ვიყავი და წონაშიც ფრიად დავიკელი. პანიკის შეტევებს მღელვარება ცვლიდა... მადაც საშინლად დავკარგე..."

ინგლისური ტაბლოიდები წერენ, რომ შერილ კოული ახლაც გვარიანად გახდა.

**პაპუნა ძედია**

# ოჯახური გამოშტერება

**უეინ რუნისა** და მისი მეუღლის, კოლინის შესახებ ახალი ამბის თქმა შეგვიძლია. სამშაბათს ცოლ-ქმარს გონება დაებინდა — „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავმა მანქანაში სხვა საწვავი ჩაასხა და მოტორვეიზე (საავტომობილო ტრასის ნაირსახეობაა) ბუქსირით თუ ევაკუატორით სათრევი შეიქნა.

უფრო ზუსტად (თუმცა, რა დიდი გამოცნობა ამას უნდა) ამბავი ასე იყო: ინგლისელი თავდამსხმელი ცოლის Range Rover Sport V8-ში ჩაჯდა და დაავიწყდა, რომ მისი მანქანისგან განსხვავებით, ცოლისა ბენზინზე კი არა, დიზელზე იყო. არანაკლებ საინტერესოა ის, რომ ეს ამბავი თვით კოლინსაც დაავიწყდა და ასეთი ცოლ-ქმრული გულმავიწყობით დაპყრობილმა ინგლისის ცნობილმა წყვილმა იმ თავიანთი Range Rover-ის ავზი გემრიელად გაავსო.

შემდეგ ასეთი რამ მოხდა: მანქანა, რომელშიც რუნებს 90 000 გირვანქა ჰქონდათ გადახდილი, ჩეშირისკენ მიმავალ Ꮗ62-ზე (მოტორვეის ნომერია) გაგანია პიკ-საათში აძიგძიგდა, რის გამოც უეინმა ის უორინგტონის სიახლოვეს, მოტორვეის საავარიო ჩიხში შეაყენა და ბუქსირი გამოიძახა.

ეს დარღვევა „ოლდ ტრეფორდის" ვარსკვლავს 6 000 გირვანქა დაუჯდება — ასეთი ყოფილა შესაბამისი ინგლისური ჯარიმა.

გაზეთ „სანის" ჟურნალისტებმა კი ისედაც განათლებული მკითხველის კიდევ უფრო კარგად განათლებისთვის Range Rover-ის ფირმაში დარეკეს და ინჟინერს გაესაუბრნენ, რომელმაც ასეთი რამ თქვა: „ასეთი მანქანის ძრავისთვის ბენზინის მიწოდება შესაძლოა კატასტროფად იქცეს. ამან შეიძლება მასშტაბური დაზიანება გამოიწვიოს".

გამვლელმა, რომელმაც რუნები მოტორვეიზე დაინახა და იცნო, სცენას ასე აღწერს:

„მანქანას ავარიული სინათლეები უციმციმებდა. უეინი გაღმოსული გახლდათ და საავტომობილო ტრასების საპატრულო საააგენტოს მძღოლს ელაპარაკებოდა. აშკარად სულელურ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი".

ცნობისთვის: ამ Range Rover-ის გარდა, უეინ რუნის და კოლინს „ლამბორგინი" (და არა „ლამბორჯინი", როგორც ამ იტალიურ ავტომწარმოებელს თბილისში ეძახიან), „ბენტლი" და „ასტონ მარტინი" ჰყავთ.

**პაპუნა ძედია**








# ჩვენი ბიჭი იმათ სერიაში და მადონინას მოლოდინი



სალაიეტამ პალერმოელებს ბოლო იმედი დაუსამარა

## იტალია

### სერია A
### IV ტური

**ნაპოლი 2:1 პალერმო**

1:0 ჰამშიკი (14), 2:0 სალაიეტა (75), 2:1 მიკოლი (83პ)

**ნაპოლი:** იეცო, კანავარო, კონტინი, არონიკა, მაჯო (მანინი 89), ბლაზი (პია 57), გარგანო, ჰამშიკი, ვიტალე, დენისი (პაციენცა 46), სალაიეტა

მწვრთნელი: ედი რეხა

**პალერმო:** ამელია, კასანი (ჩარამიტარო 87), კაროციერი, ბოვო, ბალძარეტი, ნოჩერინო (მილიაჩო 75), ლივერანი, ბრეშანო (მჭედლიძე 78), სიმპლისიუ, კავანი, მიკოლი

მწვრთნელი: დავიდე ბალარდინი

გაფრთხილება: კაროციერი, ბოვო, ბალძარეტი, არონიკა, ბლაზი

მსაჯი: როკი

25 000 მაყურებელი

**ლაციო 3:0 ფიორენტინა**

1:0 მაური (6), 2:0 პანდევი (10), 3:0 სივილია (59)

**ლაციო:** კარისო, ლიხტშტაინერი, სივილია, კრიბარი (როზეჰნალი 85), რადუ, ბროკი, ლედესმა, მაური, ფოჯა (მანფრედინი 68), პანდევი (მაკინვა 76), სარატე

მწვრთნელი: დელიო როსი

**ფიორენტინა:** ფრეი, ძაური (კომოტო 46), გამბერინი, დაინელი, ვარგასი, ალმირონი, ფელიპე მელუ, მონტოლივო, კუზმანოვიჩი (დონადელი 73), მუტუ (პაცინი 78), ჯილარდინო

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: ძაური, პანდევი, ფელიპე, მელუ

მსაჯი: დე მარკო

32 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:1 კატანია**

1:0 ამაური (16), 1:1 პლაზმატი (23)

**იუვენტუსი:** მანინგერი, გრიგერა, ლეგროტალიე, კიელინი, დე ჩელიე, მარკიონი (სალიჰამიჯიჩი 69), პოულსენი, მარკიზიო (ტიაგუ 83), ჯოვინკო (ნედვედი 83), ამაური, დელ პიერო

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

**კატანია:** ბისარი, სარდო, სილვესტრი, ტერლიცი, სილვესტრე, იცკო, ბიაჯანტი, ლედესმა, ტედესკო, ლამა (პლაზმატი 46), მორიმოტო (მარტინესი 60, ბაიოკო 83)

მწვრთნელი: ვალტერ ძენგა

გაფრთხილება: ლედესმა, ბისარი, სილვესტრი

მსაჯი: პიერპაოლი

22 053 მაყურებელი

**კიევო 1:1 ტორინო**

0:1 ბიანკი (40პ), 1:1 მარკოლინი (60)

**კიევო:** სორენტინო, მალაგო, მანდელი, იეპესი, სკარდინა, პინცი (რიგონი 75), იტალიანო, მარკოლინი (იუნკო 83), ლუჩანო, პელისიერი, ლანჯელა (დანა 78)

მწვრთნელი: ბეპე იაკინი

**ტორინო:** სერენი, დიანა, დი ლორეტო, პრატალი, პიზანო, პ. ძანეტი, ძემილი, შაუმელი, აბრუსკატო (ოგბონა 83), ამორუზო (ვენტოლა 68), ბიანკი (აბატე 62)

მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი

გაფრთხილება: იტალიანო, მალაგო, დი ლორეტო, პრატალი, პინცი, პელისიერი

გაძევება: დიანა (90)

მსაჯი: ჯირარდი

21 000 მაყურებელი

**ინტერი 1:0 ლეჩე**

1:0 კრუსი (34)

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, ბურდისო, კივუ (კრუსი 72), ვიეირა (მაიკონი 46), კამბიასო, სტანკოვიჩი (კუარეშმა 46), ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი, მანსინი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

**ლეჩე:** ბენუსი, ანჯელო (დიამუტენი 51), სტენდარდო, ფაბიანუ, ესპოზიტო, მუნარი, ძანჩეტა, არდიტო, არიატი, კაჩა (კაზერტა 75), ტირიბოკი (კასტილიო 54)

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

გაფრთხილება: კივუ, კუარეშმა, ესპოზიტო

მსაჯი: ბერგონცი

45 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:2 მილანი**

0:1 ბორიელო (24), 1:1 კორადი (59), 1:2 პატო (74)

**რეჯინა:** კამპანიოლო, ლანძარო, ჩირილო, სანტუში (ალვარესი 89), ვიჯანი (ჩერაფოლო 78), ბარეტო, კარმონა, ჰალფრედსონი, კოშტა (ბარილია 80), კორადი, ბრიენცა

მწვრთნელი: ნევიო ორლანდი

**მილანი:** აბიატი, ძამბროტა, ბონერა, კალაძე, ფავალი, ფლამინი (ამბროზინი 61), ზეედორფი, კაკა, პატო (ემერსონი 83), ბორიელო (შევჩენკო 59), გატუზო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ლანძარო, ფლამინი, შევჩენკო, აბიატი, პატო

მსაჯი: საკანი

11 138 მაყურებელი

**სიენა 0:0 სამპდორია**

**სიენა:** კურჩი, როსეტინი, ფიკანია, პორტანოვა, დელ გროსო, ვერგასოლა, კოდრეა (კოპოლა 79), გალოპა, ხარა (ლეზალი 83), ფრიკი (კალაიო 68), მაკარონე

მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო

**სამპდორია:** მირანტე, ლუკინი, ბოტინელი, აკარდი, სტანკევიჩუსი (დესენა 71), სამარკო (დელ ვეკიო 86), პალომბო, ფრანჩესკინი, ციგლერი, კასანო, ბონაცოლი

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

გაფრთხილება: კოდრეა, აკარდი

მსაჯი: ტომაზი

9 500 მაყურებელი

**ატალანტა 1:0 კალიარი**

1:0 ფლოკარი (79)

**ატალანტა:** კოპოლა, გარიჩი, ტალამონტი, მანფრედინი, რივალტა, ფერეირა პინტუ (დე ფენდი 78), ჩიგარინი, გვარენტე, პადოინი (დე აშენტისი 78), დონი (კაპელი 89), ფლოკარი

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

**კალიარი:** მარკეტი, პიზანო, ბიანკო, ლოპესი, აგოსტინი, ფინი, კონტი, პაროლა (ლაძარი 68), კოსუ, მატრი, აკვაფრესკა (ლარივეი 84)

მწვრთნელი: მასიმილიანო ალეგრი

გაფრთხილება: კოსუ, კონტი, ჩიგარინი, აკვაფრესკა

მსაჯი: სტეფანინი

10 000 მაყურებელი

**ჯენოა 3:1 რომა**

1:0 სკული (4), 1:1 დე როსი (28), 2:1, 3:1 მილიტო (61, 88)

**ჯენოა:** რუბინიუ, ბიავა, ფერარი, კრიშიტო, როსი, მილანეტო, იურიჩი, მოტა (მესტო 79), სკული (ოლივერა 59), მილიტო, გასბარონი (პალადინო 56)

მწვრთნელი: ჯან პიერო გასპერინი

**რომა:** დონი, სისინიუ, ლორია, პანუჩი, რიისე, დე როსი, ტადეი (ოკაკაჩუკა 76), ბრიგი, პეროტა (აკვილანი 78), მენეზი (მონტელა 84), ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: კრიშიტო, იურიჩი, ოლივერა, სისინიუ, ლორია, დე როსი, პეროტა, მენეზი, აკვილანი

გაძევება: დე როსი (69)

მსაჯი: ბრიგი

25 000 მაყურებელი

**ბოლონია 0:3 უდინეზე**

0:1 დაგოსტინო (13პ), 0:2 ფლორო ფლორესი (20), 0:3 პეპე (73)

**ბოლონია:** ანტონიოლი, ძენონი (ბომბარდინი 62), ტერცი, ბრიტუში, ლანა, მინგაცინი, მუდინგაი, მარკინი, ამოროზო (დი ვაიო 51), როდრიგესი, მარაცინა (ბერნაჩი 62)

მწვრთნელი: დანიელე არიგონი

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი, ფერონეტი, კოდა, დომიცი, პასკუალე, ისლა, დაგოსტინო, ინლერი (ტისონე 67), სანჩესი (მოტა 83), ფლორო ფლორესი (კვალიარელა 81), პეპე

მწვრთნელი: პასკუალე მარინო

გაფრთხილება: ტერცი, მუდინგაი, დი ვაიო, მარკინი, სანჩესი, ფერონეტი

გაძევება: ბრიტუში (13)

მსაჯი: მაცოლენი

21 000 მაყურებელი

**„იუვენტუსმა"** ვერ მოიგო, „მილანმა" — გაჭირვებით, „რომა" გუნუაში დამარცხდა. ერთი სიტყვით, ამ შუა კვირაში იტალიაში ისეთი ტური გამოცხვა, ფსონების ჩამსვლელებს ალბათ, არ უნდა მოწონებოდათ. ჩვენ კი ამ მიმოხილვას მთავარი „ქართული" ამბით დავიწყებთ — სერია A-ში კახა კალაძის მერე მეორე ქართველს, პალერმოელ ლევან მჭედლიძეს დებიუტი ჰქონდა.

წინა ტურში ყოფილი ემპოლელი 18-კაციან განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია, გუშინ კი, „ნაპოლისთან" მატჩში, მჭედლიძე მეორე ტაიმში შევიდა შეცვლაზე. ეს იმ დროს მოხდა, მისი გუნდი უკვე 0:2-ს რომ აგებდა და მწვრთნელმა შეტევას ქართველიც შეაშველა.

ლევან მჭედლიძემ სადებიუტო მატჩში 12 წუთი ითამაშა და მისი მონაგარი ასეთია: ერთი ზუსტი პასი და ორი არაზუსტი ჩაწოდება. ამასთანავე, ორთაბრძოლებში მასზე ორჯერ დაჯარიმდნენ.

რა თქმა უნდა, გვერჩივნა, ამ მონაცემების მაგივრად ერთი გოლი ან საგოლე პასი გაეკეთებინა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამ პატარა ბიჭისთვის სერია A-ში თამაში უმნიშვნელო ამბავია?!

„მილანში" კი სრულად ითამაშა კახა კალაძემ. მისმა გუნდმა ჩემპიონატის უცუდესი სტარტის მერე ორი მარცხი), მეორე თამაში მოიგო და ცხრილის შუაშია. „რეჯინასთან" მატჩში მილანელები ბორიელოს გოლით დაწინაურდნენ, მერე კორადიმ გაათანაბრა, ამის შემდეგ კი... აქ მილანელთა მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის სიტყვები მოვიშველიოთ: „მეტოქემ რომ გაგვითანაბრა, ამან ჩვენზე საუცხოოდ იმოქმედა, ბრძოლის ჟინი მოგვემატა და შტურმი მოვუწყეთ."

საბოლოოდ, „მილანმა" ალეშანდრე პატოს გოლით მოიგო, მისმა თანაქალაქელმა „ინტერმა" კი, რომლისადმი ყურადღებაც მწვრთნელად ჟოზე მაურინიუს მისვლის მერე ერთიორად გაიზარდა, შინ სერია A-ში ახლადამოსული „ლეჩე" დაამარცხა ხულიო კრუზის გოლით. კრუზმაც და პატომაც გამარჯვების გოლები ბოლოსკენ გაიტანეს.

უახლოეს უქმეებზე კი „მილანი" და „ინტერი" „დერბი დე ლა მადონინაში" ხვდებიან ერთმანეთს და თამაში, აი, ეგ იქნება. ისე, ორივე გუნდის გულშემატკივრები, როგორც იტალიური წყაროები იუწყებიან, იმის იმედად არიან, ჩვენმა გუნდებმა ევებ როგორმე დაიწყონ სანახაობრივი ფეხბურთის თამაში.

**ძოტე ძიძელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ლაციო | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| ატალანტა | 4 | 3 | 0 | 1 | 3:1 | 9 |
| ნაპოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| უდინეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| კატანია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ჯენოა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| მილანი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| პალერმო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ტორინო | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| სიენა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| კიევო | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| რომა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ლეჩე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ფიორენტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| სამპდორია | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| ბოლონია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| რეჯინა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| პარმა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კალიარი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | 0 |

**III ტური**

**27-28 სექტემბერი**

რომა — ატალანტა
ბოლონია — ნაპოლი
პალერმო — რეჯინა
მილანი — ინტერი
უდინეზე — სიენა
ლეჩე — კალიარი
ტორინო — რომა
ფიორენტინა — ჯენოა
სამპდორია — იუვენტუსი
კატანია — კიევო

### სერია B
### V ტური

ანკონა — ბრეშა 2:0; აველინო — გროსეტო 2:2; ბარი — ლივორნო 0:0; ემპოლი — მოდენა 3:1; მანტოვა — ასკოლი 0:0; პარმა — ფროზინონე 2:2; პიაჩენცა — რიმინი 0:0; პიზა — ვიჩენცა 0:2; სალერნიტანა — ტრიესტინა 0:1; სასუოლო — ალბინოლეფე 1:0; ტრევიზო — ჩიტადელა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სასუოლო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| ალბინოლეფე | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 10 |
| სალერნიტანა | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| გროსეტო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 10 |
| ტრიესტინა | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 9 |
| ემპოლი | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 9 |
| მანტოვა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 8 |
| პიაჩენცა | 5 | 2 | 2 | 1 | 3:4 | 8 |
| ლივორნო | 5 | 1 | 4 | 0 | 6:4 | 7 |
| ბარი | 5 | 1 | 4 | 0 | 4:3 | 7 |
| ასკოლი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| ბრეშა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | 6 |
| პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:6 | 5 |
| რიმინი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ტრევიზო | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| ანკონა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| ფროზინონე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| ჩიტადელა | 5 | 1 | 2 | 2 | 1:3 | 5 |
| ვიჩენცა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| პიზა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| აველინო | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | 2 |
| მოდენა | 5 | 0 | 0 | 5 | 4:11 | 0 |

### სერია C1/A
#### გამოტოვებული მატჩი

**სპალ 0:0 კრემონეზე**

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### IV ტური

**ბარსელონა 3:2 ბეტისი**

1:0, 2:0 ეტოო (17, 23), 2:1 მონსონი (59), 2:2 ხოსე მარი (67), 3:2 გუდიონსენი (80)

**ოსასუნა 0:0 დეპორტივო**

**ვილიარეალი 2:0 რასინგი**

1:0 კაპდევილა (28), 2:0 იორენტე (33)

**ხეტაფე 1:2 ატლეტიკო**

0:1 სინამა-ონგოლი (30), 1:1 ალბინი (76), 1:2 კორტესი (82ს.კ.)

**რეალი 7:1 სპორტინგი**

1:0, 2:0 ვან დერ ვაარტი (18, 33), 2:0 იგუაინი (37), 4:0 ვან დერ ვაარტი (47), 5:0 რობენი (51), 5:1 მატეო (53), 6:1, 7:1 რაული (59, 64)

**სევილია 2:0 ესპანიოლი**

1:0 მარესკა (57), 2:0 ჩევანტონი (86)



# ფრანგებმა გამეორებაზე იჩხუბეს

**არსენ ვენგერი** და მიშელ პლატინი ერთმანეთს წაეკიდნენ. „არსენალის“ მწვრთნელმა საგაზეთო ინტერვიუში თქვა, რომ სადავო ეპიზოდებში ვიდეოგამეორების მომხრეა, რაზეც უეფას პრეზიდენტმა უპასუხა, ამ შემთხვევაში მატჩები ოთხ საათს გაგრძელდებაო.

„ვიღაც დაარტყამს საჯარიმოს, ვიღაც გოლს ხელით გაიტანს და მსაჯი ვერ დაინახავს. დავუშვათ, ვიდეო გამოვიყენე და აღმოჩნდა, რომ სანამ ხელით გაიტანდა, მანამდე მას მცველმა ზურგში მუჯლუგუნი ჰკრა და თურმე პენალტი უნდა დანიშნულიყო, და იქამდე კიდევ მსაჯს ჯარიმა არ უნდა დაენიშნა. ეს უკვე დაუსრულებლად სადავო გახდება. მგონი, ჩემი არგუმენტი საკმარისია იმისთვის, რომ ვიდეოგამეორებაზე უარი ვთქვათ“ — განაცხადა პლატინიმ.

უეფას პრეზიდენტის აზრით, არსენ ვენგერის იდეა ბიზნესითაა მოტივირებული და ფეხბურთში სამართლიანობასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

„მე ვსაუბრობ ფეხბურთზე, ის კი ბიზნესზე. ვენგერისნაირები დროზე უნდა გავაჩეროთ. ძალიან გამიხარდება, თუ მისი იდეის განხორციელება არასოდეს მოხერხდება. ჩვენ რომ გამეორება დავუშვათ, ათ წელიწადში მსაჯები გაქრებიან“ — აღნიშნა პრეზიდენტმა.

პლატინის და ვენგერის კინკლაობა ადრევე დაიწყო, როცა უეფას შეფმა თქვა, პრემიერლიგიდან ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ სამი გუნდი არ უნდა ხვდებოდეს და მათ რიცხვს შევამცირებთო. პრეზიდენტს სურს, რომ ლიგაში აღმოსავლეთ ევროპიდან უფრო მეტი გუნდი თამაშობდეს.

„ხომ ნახეთ, „კლუჟმა“ „რომას“ რომ მოუგო?! ფეხბურთს ასეთი მოულოდნელობები ალამაზებს, არსენ ვენგერს კი ეს არ სურს. მას თავისი ბიზნესი აინტერესებს“ — აღნიშნა პლატინიმ.

არსენ ვენგერი: „მე კლუბებში კარგი მენეჯმენტის და ფინანსური ბალანსის მომხრე ვარ. ფეხბურთის მომავლისთვის ვზრუნავ. ვიდეოგამეორებას ჩემს გარდა ბევრი სხვა მწვრთნელიც მხარს უჭერს და უეფამ ეს უნდა გაითვალისწინოს. არ მესმის, რატომ ბრაზდება მიშელ პლატინი განსხვავებული აზრის მოსმენისას“.

**გაჟა ხუციშვილი**

# ლიოვმა ტრავმა მიიღო



**გერმანიის** ნაკრების მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვს მუხლის ტრავმა აწუხებს და, სავარაუდოდ, ოპერაციაც დაჭირდება. ერთი შეხედვით, სენსაციური დასაწყისია, მაგრამ სრულ სიმართლეს შეესაბამება. ალემანთა თავკაცმა მეგობრებთან ერთად ბურთის გაგორება გადაწყვიტა. მატჩი ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩატარდა და ლიოვისთვის ასეთი სავალალო შედეგით დასრულდა.

„ნაკრების ექიმმა ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა ჩემი მუხლის რენტგენის ფოტოები ნახა და ოპერაციის გაკეთება მირჩია. როგორც ჩანს, ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა. დაზიანებულია მყესები და მენისკი“ — განაცხადა გერმანელმა სპეციალისტმა.

გერმანიის ნაკრებმა ოქტომბერში რუსეთთან და უელსთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები უნდა ჩაატაროს და ლიოვის გადაწყვეტილებით, ექიმებს ქირურგიული ჩარევის გადადება მოუწევთ, რადგან ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში მთავარი მწვრთნელი, რა თქმა უნდა, თავისი გუნდის გვერდით უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ იოახიმს ამ ტრავმის გამო ვენაში მწვრთნელთა საერთაშორისო კონგრესის გამოტოვება მოუხდა. მის ნაცვლად ავსტრიის დედაქალაქში ლიოვის ასისტენტი ჰანს-დიტერ ფლიკი და ნაკრების მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი გაემგზავრნენ.

**არჩილ ძობახიძე**

## დანია

სუპერლიგა

კოპენჰაგენი 2:1 ნორდსიელანდი

## ნორვეგია

თასი

სტაბეკი 3:0 მიოლდე

## შვედეთი

ალსვენსკა

გეფლე 0:0 გაის

ჰელსინგბორგი 1:0 კალმარი

გიოტებორგი 0:0 ლიუნგსკილე

იურგორდენი 1:1 აიკ

სუპერეტა

დეგერფორსი 2:0 ლანდსკრონა

ბუნკეფლო 2:2 ძვიდინგი

მიალბი 4:1 ფალკენბერგი

სირიუსი 2:2 ბრომაპოიკარნა

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა

ინტერი 2:0 მარიეჰამნი

კუოპიო 1:1 ტამპერე

## ავსტრია

ბუნდესლიგა

აუსტრია (ვ) 2:1 ალტახი

კაპფენბერგი 0:2 აუსტრია (კ)

მატერსბურგი 1:4 ლინცერი

ზალცბურგი 3:1 შტურმი

## თურქეთი

თასი

ალანია 2:1 გენჩლერი

ბეიკოზი 0:1 ალთაი

ჩელიძსფორი 1:5 ქაისერი

ისთანბული 0:1 ანკარა

ანკარაგიუჯიუ 5:1 გირესუნი

ბურსა 3:0 ვანი

ესქიშეჰირი 2:0 დიარბაქირი

ბუიუქშეჰირი 1:2დ.დ.(1:1) თოქათი

ქონია 1:0 გუნგორენი

მალათია 1:0 ჰაჯეთეფე

მანისა 4:1 ქოჯაელი

რიზე 0:2 გაზიანთეფი

სამსუნი 1:1(7:8პ) ანთალია

ტრაბზონი 2:0 ქარაბუქი

## ისლანდია

პრემიერდივიზიონი

ჰაფნარფიორდური 3:0 ბრეიდაბლიკი

## სლოვაკეთი

თასი

არტმედია 2:0 ლუჩენეცი

## კვიპროსი

თასი

არისი 1:1 აეპ

ჰალკანორასი 2:3 პარალიმნი

მეაპ 0:1 აეკ

ნეა სალამინა 1:3 დოქსა

ონისილოსი 0:1 ლაკატამიასი

პაეეკ 0:2 ატრომიტოსი

ოლიმპიაკოსი 0:3 აელ

## ინგლისი

ლიგის თასი

ასტონ ვილა 0:1 ქპრ

ბრაიტონი 2:2დ.დ.(1:1,5:3პ) სიტი

იფსვიჩი 1:4 უიგანი

ნიუკასლი 1:2 ტოტენჰემი

პორტსმუთი 0:4 ჩელსი

ბლექბერნი 1:0 ევერტონი

## შოტლანდია

ლიგის თასი

კილმარნოკი 4:2 აბერდინი

მოზერველი 1:2დ.დ.(1:1) ჰამილტონი

პარტიკი 1:2დ.დ.(1:1) რეინჯერსი

## პორტუგალია

ლიგის თასი

ლეიშოეში 1:2 რიუ ავე

კოვილია 1:2 ჟილ ვისენტე

ამადორა 4:1 ვიზელა

ტროფენსე 1:0 ლეირია

ესტორილი 2:1 ოლიანენსე

ფრეამუნდე 0:1 გონდომარი

## ბელგია

იუპილერლიგა

მეხელენი 1:1 ბრიუგე

## ჰოლანდია

თასი

ბატავენი 0:1 ექსელსიორი

ემენი 0:5 ტვენტე

აიაქსი (მ) 0:2 ვიტესი

კაპელე 2:4 როდა

ტრეფერსი 3:4დ.დ.(3:3) გრააფსხაპი

ვეენდამი 1:3 ბრედა

ბრეინენი 1:2 სპარტა

კოზაკენი 1:2დ.დ.(1:1) WKE ემენი

მაასტრიხტი 0:3 ჰერენვეენი

ძუიკ ბოისი (მ) 0:3 ეინდჰოვენი

სპაკენბურგი 0:1 ტელსტარი

ნაიკერკი 1:2დ.დ.(1:1) ლეიდენი

ვენლო 2:3დ.დ.(2:2) ვოლენდამი

ფეიენოორდი 3:0დ.დ.(0:0) ოსი

## საფრანგეთი

ლიგის თასი

მონაკო 0:1 პსჟ

მონპელიე 2:2დ.დ.(1:1,4:2პ) ლილი

მეცი 3:1 ტრუა

გრენობლი 2:3დ.დ.(2:2) ნანსი

გენგამი 4:1 სენტ-ეტიენი

ლე ავრი 3:1დ.დ.(0:0) კაენი

ლორიანი 0:3 ლანსი

რენი 2:2დ.დ.(1:1,4:3პ) ლე მანი

სოშო 1:0 მარსელი

## გერმანია

თასი

დორტმუნდი 2:1დ.დ.(1:1) ჰერტა

ჰამბურგი 2:0 ბოხუმი

ოფენბახი 0:2 კარლსრუე

ობერნოილანდი 0:7 ვოლფსბურგი

ვეენი 1:0 ალემანია

ბაიერნი 2:0 ნიურნბერგი

კარლ ცაისი 1:0 ფრანკფურტი

ფრაიბურგი 3:1 ჰოფენჰაიმი

შტუტგარტი 2:0 არმინია

## რუსეთი

თასი

ტომი 2:2დ.დ.(4:1პ) ვოლგა

მოსკვა 3:0 ტერეკი

კრილია 0:2 სიბირი

ლოკომოტივი 1:0 ვიტიაზი

შინიკი 1:2 სპარტაკი

ცსკა 1:0 ბალტიკა

რუბინი 0:0დ.დ.(4:1პ) ამკარი

## სლოვენია

I ლიგა

პრიმორიე 3:3 დომჟალე

დრავა 1:0 ნაფტა

ინტერბლოკი 2:0 ნოვა გორიცა

კოპერი 1:1 მარიბორი

რუდარი 2:2 პუბლიკუმი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კოთოლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge